კვირა, ოქტომბრის 6

1918 წელი

№ 4.

ფასი 60 კაპ.

დამოუკიდებელი ნაციონალური
პოლიტიკის ორგანო.

ყოველ-კვირეული
გაზეთი „კლდე" გამოცემა
დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის
მთავარი კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა
გამოდის გრიგოლ ვეშაპელის რედაქციით
გაზეთის ფასი 1918 წლის დამლევამდე 10 მანათი, ცალკე ნომერი 60 კაპ.
განცხადებათა ფასი მორიგებით.

რედაქციის ადრესი: თბილისი იზმაილოვის ქუჩა, № 27, ს. № 3. ტელეფ. № 22.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 11 საათიდან 2 საათამდე.
კონტორაში (გაბაანთ შესახვევი № 3, შკოლის შესავალი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები.

პრინცი მაქსი ბადენისა ინიშნება გერმანიის ახალ კანცლერათ.

— —

იმპერატორმა ვილჰელმმა აცნობა თბილისში მყოფ გერმანელ ოფიცრებს, დასავლეთში თქვენი ყოფნა საჭირო არ არის თქვენი მოვალეობა საქართველოს ტერიტორიაზე უნდა შეასრულოთო.

— —

ოსმალეთის ჯარები მიდიან უკან ბაქო ბათომის გზით, პალესტინაში წასასვლელად.

— —

გერმანიის საელჩო აცხადებს, თუ ალექსეევის ჯარი საქართველოს დაეცა, გერმანელები უკრაინიდან შეუტევენ ყუბანსო.

— —

მცხეთის ახლო რკინის გზის ხიდის დაწვის გამო მატარებლები აღარ დადის.

— —

ი. ვარაზაშვილი, ეროვნულ საბჭოს ყოფილი წევრი, დაატუსაღეს ყალბი „ასიგნოვკების" საქმეზე.

წერილები.

მეთაური: გერმანია და საქართველო.
გრ. ვეშაპელი: სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი (დასასრული დ. ონიაშვილის პასუხისა).
დ. ვაჩნაძე: პური და ფული საქართველოს ჯარს.
ივ. ციციშვილი: მეურნე—მიწის მესაკუთრეთა შეკავშირება.
დ. ჯავახიშვილი: შეუდარებელი ქვეყანა.
ნესტ. მაღალაშვილი: ქართული ლეგიონის ისტორიიდან.
ზ. გამსახურდია: რევოლუცია იყო, თუ ანარქია (დასასრული).
ქართული პრესა: სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია 30 მილიონით.
გერმანული პრესა: ბაგრატიონის დატუსაღების შესახებ.
ნოე ჟორდანიას სამხედრო პროგრამაზე.
ფელეტონი: ,,სოციალისტური რესპუბლიკა'' (პარლამენტის სხდომა).
მეურნეობის კრიზისი: ნიკო ყავრიშვილის სარძეო ფერმა.
კორესპონდენცია: ხევსურეთიდან.

თბილისი, ღვინობისთვის 6

გერმანია და საქართველო

მთელს დედამიწაზე დღეს ორი ძალა იბრძვის: გერმანია და ინგლისი.

საქართველოს რეალურმა პოლიტიკამ უკვე შეგვაკავშირა გერმანიის იმპერიასთან: გერმანიის დახმარებით აღსდგა საქართველოს თავისუფალი სახელმწიფო და ქართველი ნაციონალისტები ისე როგორც მთელი ქართველი ერი, ვერასოდეს ვერ დაივიწყებენ ამ ამაგს.

ასეთსავე მდგომარეობაშია ჩვენი მეზობელი სახელმწიფო—ოსმალეთი, რომელიც რუსეთის დაშლის შემდეგ, დიდს გავლენას ახდენს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე.—რუსების საფრთხის მოშორება სტამბოლიდან მხოლოდ გერმანიის დახმარებით მოხდა; გერმანიასთან აკავშირებს ოსმალეთს ინგლის-ამერიკის „სომხური" პროექტი, და საბერძნეთ ბულგარიის ,,ბიზანტიური'' პლანები.

მხოლოდ გერმანიის დანარცხებას შეუძლია შეცვალოს ოსმალეთის ორიენტაცია.

მაგრამ საარაკო სამხედრო ორგანიზაცია და საარაკო მამულიშვილობა გერმანელ ერის ყველა კლასთა და წოდებათა შეუძლებლად ჰხდის გერმანიისათვის ბრესტის სირცხვილს. ამერიკის სამხედრო ინიციატივა ევროპაში წინ და წინვე განსაზღვრულია იაპონიის შიშით... მოსალოდნელია საკომპრომისო ზავი... ლენინის მსოფლიო რევოლუციის იმედების გამართლება არც გერმანიას უნდა და არც ინგლისს. და ინდოეთის აჯანყება კი ინგლისისთვის უფრო მეტად საშიშოა, ვიდრე ბულგარეთის სლავიანოფილური პარტიების ღალატი გერმანიისა...

ჯერ ამ ანგარიშების გამტყუნება არა სჩანს... და კიდეც რომ ყოველივე ეს საყუმანო გახდეს გერმანია არა ერთ და ორ თვეს იომებს ძველებურად... ამით სწყდება ოსმალეთის ორიენტაციის საკითხი.

თუ რომელიმე კავკასიის ერი არ იღებს ყურად ამას და ინგლისს გაეშვება, ის დაიღუპება, რადგან ბაქოსი არ იყოს, ინგლისის კორპუსების მაგიერ მარტო ინგლისურ ფორმაში ჩაცმული სიპაები, ასირიელები და მზვერავი მაიმუნები მიეშველებიან.

ყველა პარტიები და ყველა კლასები საქართველოში ვალდებულნი არიან უყოყმანოთ განაგრძონ გერმანიის კავშირის გზით სიარული.

საქართველოს ნეიტრალიტეტი ზღაპარია. ნეიტრალი ამ ომში არც ღმერთია ის იმისმხარეა ვისაც უკეთესი ჯარი ჰყავს.

საქართველოს ჯარის ორგანიზაციისათვის კი საჭიროა პირველ ყოვლისა სამოქალაქო ზავი და ყველა პარტიათა და კლასთა თავდადებული შრომა საქართველოს თავისუფალი სახელმწიფოს დასაცავად.

გვახსოვდეს, რომ ალექსეევის რუსული ურდოები სოხუმისა და დარიალის კარებთანაა!

სოციალ-დემოკრატია და მიწის საკითხი

(პასუხად ბ-ნ დ. ონიაშვილს)

ბ-ნ დ. ონიაშვილის თქმით („ერთობა" № 144) ჩვენი ეკონომიური პროგრამა ისეთივე კერპ-თაყვანისცემა ყოფილა, როგორიც პოლიტიკური: კერძო საკუთრება ისეთივე კერპი ყოფილა, როგორიც ეროვნული სახელმწიფო. ბ-ნ ონიაშვილის სიტყვით, სახელმწიფო „კლასობრივ შეხლა-შემოხლის შედეგია"; ამიტომ სახელმწიფოს აშენების დროს შესაძლოა კლასობრივ ნიადაგზე დგომა, მაგალითად „საფრანგეთის ბურჟუაზია დიდი რევოლიუციის დროს კლასობრივ ნიადაგზე იდგა, მაგრამ იმავე ბურჟუაზიამ შექმნა თანამედროვე საფრანგეთის რესპუბლიკაო. საფრანგეთის ბურჟუაზია შეთანხმებია დემოკრატიას, ვინაიდან მაშინ ორივეს ერთი მტერი ჰყოლია – ფეოდალური წესწყობილება... „ეგევე მოხდა დაახლოვებით(!) ინგლისში და გერმანიაშიო".

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ „ფეოდალიზმისა, ბურჟუაზიის და დემოკრატიის სამებით" ახსნა ყოველივე ისტორიულ მოვლენისა ჩვენს დროში, ეს მხოლოდ სოციალისტურ ბროშიურებში გამოდის ასე უბრალოთ: ყოფილა ყოვლად წაწყმედილი ფეოდალიზმი, რომელსაც გაუზრდია თავის დასაკლავი ბურჟუაზია. ეს ბურჟუაზია შეკავშირებია იმავე ფეოდალიზმში დაბადებულ დემოკრატიას, მოუსპია ფეოდალიზმი და მერმე ფეოდალიზმის სამარეზედ დაწყებულა მესაფლავე კლასების: ბურჟუაზიისა და დემოკრატიისა ახალი ომი.

ნამდვილ ცხოვრებაში საქმე უფრო რთულად გამოდის, ვიდრე ნოე ჟორდანიას წიგნებში: მიუხედავათ მრავალნაირი რევოლიუციებისა, კლასები ერთი მეორისაგან ისე არ გაყოფილან, რომ ისტორია ერთი კლასის მოსპობით მიდიოდეს წინ: წინაამდეგ ამისა, ,,ფეოდალური'' ეკონომიკა და იდეოლოგია დღესაც ცოცხალია მთელს ევროპაში და სწორედ ამ „ფეოდალური" ხალხის ხელშია ისეთი სახელმწიფო საქმეები, როგორიც არის არმია, ფლოტი, ადმინისტრაცია და დიპლომატია. ყველა თანამედროვე სახელმწიფოების ზედა-პალატები, ბევრგან კი პარლამენტებიც, ამავე ,,ფეოდალ'' კონსერვატორების ხელშია (ინგლისი, ბელგია, შვეიცარია, გერმანია; „დაახლოვებით" ასეა ავსტრიაში, იტალიაში, ისპანიაში); ლაპარაკი იმაზე, რომ ბურჟუაზიამ ჩაიბარა თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკური ძალა-უფლება, ეს თვით ინგლისისთანა ლიბერალურ ქვეყნებისათვის არ არის მართალი; და სწორედ საფრანგეთის რევოლუციის დროიდან არის, რომ ბურჟუაზიამ ყველგან თვითონ შეაფარა თავი სახელმწიფოს პატრონობაში გამობრძმედილ-გამოცდილ ფეოდალურ—კონსერვატორულ ჯარს, ადმინისტრაციას და ეკლესიას... და სწორედ რევოლიუციური დემოკრატიის ბელადები იყვნენ რობესპიერი და მარატი,-„ჟირონდის" პატიოსანი ბურჟუაზიის დეპუტატები გილიოტინაზე რომ დაკლეს..

ბ-ნი დ. ონიაშვილი მეტის მეტად თამამად ლაპარაკობს ბურჟუაზიის მაგიერ—მიწის ხელუხლებლობა, ეს ფეოდალური იდეოლოგიური კერპია, რომელიც დღევანდელ სოციალ პოლიტიკურ „კაპიტალისტურ" ხანას არ ეგუებაო. მართალია, ბ. ნოე ჟორდანიას განაჩენით „საქართველოში არ არის ძლიერი ბურჟუაზია, რომელსაც შეეძლება ხელში აიღოს ძალა-უფლება და ააშენოს თავისი მზგავსი სახელმწიფო", ისიც მართალია, რომ რაც ბურჟუაზია არის, ის მაინცა და მაინც არ არის ჟირონდისტების ტრადიციის მიმდევარი, მაგრამ რაც არის ჩვენში, სოციალისტური ენით რომ ვილაპარაკოთ ,,არა პროლეტარული'' და მასთანვე ,,არა-ფეოდალური'' ესე იგი ,,ბურჟუაზიული'', ის ვერც სახელმწიფოებრივი მოსაზრებით და ვერც კლასიური ინტერესით, ვერ მოითმენს ნოე ხომერიკის სამიწო დეკრეტების განხორციელებას. ქართულ ბურჟუაზიას, არც სახელმწიფო, და არც კლასიური მოსაზრებით არ შეუძლია ხელი მოაწეროს ისეთს აგრარულ კანონდებლობაზე, რომელიც თავისი ნორმებით და თავისი ინსტრუქციებით სრულიად სპობს კულტურულ მეურნეობას სოფლად, რითაც კოტრდება და იშლება მთელი სახელმწიფო და ისეთი სამოქალაქო ომი და ანარქია მკვიდრდება სოფლად, რომ რეგულიარული ჯარის მობილიზაცია და ორგანიზაცია, ესე იგი სახელმწიფოს აშენება, შეუძლებელი ხდება.

არც ერთ სახელმწიფოში ჯერ არ გადაწყვეტილა აგრარული საკითხი ისეთი ყაჩაღური წესით, რომელსაც აკანონებს სომხურ-რუსული სეიმის დეკრეტი. შეიძლება ჩვენი სოციალ-დემოკრატია დანაძლევებულია ისტორიასთან, რომ კაცობრიობისგან არსად და არასოდეს ნახული წესწყობილება დაამყაროს.. მაგრამ ყველამ იცის რომ არსად ნახული, არსად ნაცადი მიწის კანონები ისევე გაკოტრდება, როგორც გაკოტრდა მთელი რიგი რევოლიუციური დეკრეტებისა. ამას ყველა გრძნობს, როგორც ,,ფეოდალი'', ისე ,,პროლეტარი'' და „ბურჟუა'', როგორც ქალაქელი, ისე სოფლელი და რასაკვირველია, თუ ამ დეკრეტის არაფერი სჯერა იმ ქართველ გლეხს, რომელსაც ასეთი აფორიზმი აქვს გამოგონილი ქარის რევოლუციის მონაპოვარზე: ,,ქარმა საბძელს უთხრა, კარი გამიღე, ბზეს შემოვყრიო. საბძელმა უთხრა, თუ დამეხსნები, არც შენი შემოყრილი მინდა და არც გატანილიო''—ან და ასეთი ანდაზა აქვს სოციალისტურ ყანაზე—,,საზიარო ყანა ჩიტს მოუჭამიაო''...

მართალია, დღეს სოფელი ამ ანდაზით არ ცხოვრობს; მეურნე, მეოჯახე, დარბაისელი გლეხი დღეს ხმას ვერ იღებს, ვერც კომისართან და ვერც ყრილობაზე. ციმბირის კატორგიდან ჩამოყვანილი ყაჩაღებისა და ფრონტიდან გამოქცეულ ხულიგანების ტერორის ქვეშ არის დღეს მთელი სოფელი, მაგრამ გლეხი კაცი მაინც ერთგვარ „საბოტაჟით" უხვდება ჩვენი გრაკხების დეკრეტების: გლეხს არა სწამდა ამაების; ჯერ მაშინ, როცა სოციალისტების პროპაგანდისტები, გლეხობის ჩასათრევად რევოლუციაში, უფასოდ მიწებს ურიგებდენ, მაშინაც მეურნე გლეხს მემამულესაგან მიწის ყიდვა ერჩივნა; ახლა კი, რომ გაიგო სოფელმა, მემამულესაგან ჩამორთმეულ მიწას ხაზინა თავის სასარგებლოდ ყიდისო, სულ აუცრუვდა გული ქარის მონაპოვარზე და გულმოდგინეთ განაგრძობს საკუთარის თაოსნობით მიწის ყიდვას გუშინ უფასოდ არიგებდენ დღეს ყიდიან, ხვალ წინანდელ პატრონს დაუბრუნებენ,—ის არა სჯობს ამ დავიდარაბას, ჩემით ვიყიდო და საშვილიშვილოდ დავიმკვიდრო ისე რომ წართმევის შიში არ მქონდესო,—ანგარიშობს სამართლიანად გლეხი.. და განა თვითონ ტახტის აზნაური ნოე ჟორდანია ასე არ ფიქრობდა, 1907 წელს რომ სწერდა „მიწების გაყიდვის შესახებ''—გლეხისათვის, მიწის ყიდვის დროს, მემამულესთან პირდაპირ საქმის დაჭერა სჯობს, ვიდრე სახელმწიფოსთანო: ,,მემამულე პირველ ყოვლისა, კერძო კაცია, მასთან მოლაპარაკება, ვაჭრობა უფრო ადვილია, ვიდრე სახელმწიფოსთანო'' (ნ. ჟორდანიას რჩეული ნაწერები 537—541.)..

ახლა რომ საქართველოს ისეთი მთავრობა ყავდეს, რომ სახელმწიფო წესით შეუწყოს ხელი მიწის მობილიზაციას ისე როგორც მოქმედებდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისია, მოკლე ვადაში თავისით, მშვიდობიანათ მიწა გამოეცლება იმ მემამულეებს, რომელნიც მეურნეობას არ ეწევიან, და გადავა იმ გლეხობის და აზნაურობის ხელში, რომელსაც მეურნეობისათვის მეტი მიწა სჭირია და მზადაც არის შეიძინოს, თუნდაც დეკრეტის და ნოტარიუსის მოტყუებით... მხოლოდ ამის შემდეგ იქნება გონივრული, სახელმწიფოს იძულებითი აპარატის ჩარევა მიწის საქმეში.

ამის მაგიერ ჩვენი სოციალ-დემოკრატია ატრუებულა და მთელს თავის პარტიულ და ,,სახელმწიფოებრივ'' საქმეს ერთი კლასის, მემამულე—,,ფეოდალთა''—თავად-აზნაურობის ეკონომიურ და პოლიტიკურ გადაშენებაზე და მოსპობაზე ამყარებს, მაინცა და მაინც ისე უნდა იყოს ჩვენში, როგორც საფრანგეთის რევოლიუცია და მარქსიზმი გვასწავლისო; ჯერ ერთი რომელ ,,ფეოდალებს'' ებრძვიან, იმათ ხომ არა, რომლებზედაც კ. ჩხეიძე ამბობდა სახელმწიფო სათათბიროში, 1909 წელს: ,,ამიერ-კავკასიაში ისეთი ,,პომეშჩიკებია'', რომ მათი მიწების კონფისკაცია ვერაფერს ხეირს მოგვცემსო... ქუთაისის გუბერნიაში 45% აზნაურს—2-დან 4 დესეტინამდე აქვს და 55%—8 დესეტინემდეო... რა კონფისკაცია უნდა უყოთ ასეთ პომეშჩიკებსო'' (მესამე სათათბიროს სტენოგრამები გვ. 424)—ესაა ჩვენი თავად-აზნაურობა, ჩვენი ,,ფეოდალები''!..

მოუგონიათ საფრანგეთის რევოლიუციის მაგალითი და ის კი ავიწყდებათ, რომ საფრანგეთში მიწების კონფისკაცია—აგრარული რეპრესია, დასჯა იყო მოღალატე—ემიგრანტებისა. 1791 წელს 60,000 ფრანგი აზნაური გაიხიზნა საზღვარ-გარედ და ავსტრია გერმანიის ჯარებით შემოესია სამშობლოს ძველი მონარქიული წესწყობილების აღსადგენათ; აი ამ მოღალატე თავად-აზნაურობის წინააღმდეგ გამოიცა მიწების კონფისკაცია და სიკვდილით დასჯის დეკრეტი (თუმცა ამ კანონით ემიგრანტების ცოლშვილისა და აგრეთვე კრედიტორების უფლებანი არ ილახებოდა, თუ ისინი საფრანგეთში იყვნენ დარჩენილნი)..

მეორე მოტივი სოციალ-დემოკრატების აგრარულ დეკრეტებისა, წმიდა მარქსისტულია, კაპიტალიზმის განვითარების ხელის შეწყობა, და ამაში სოციალ დემოკრატებს მხარს უმშვენებენ გაზეთ ,,საქართველოს'' რედაქციის ნაციონალ-დემოკრატთა ბურჟუაზიული იდეოლოგებიან უკეთ რომ ვსთქვათ, ჩვენი ნაციონალ-ლიბერალები: მსხვილი მემამულეების მიწების კონფისკაცია და მათი გაყიდვა მდიდარ გლეხობაზე მრავალ ღატაკ გლეხს დაანებებინებს თავს მიწას და წაიყვანს ქალაქში კაპიტალიზმის პროლეტარულ სამსახურისათვისო. ის კი ავიწყდებათ, რომ არსად მარტო პროლეტარიატით კაპიტალიზმი არ შექმნილა. საქართველოსთანა ღარიბ ქვეყანაში, სადაც არც თავისუფალი კაპიტალი არის, და არც კაპიტალისტები,—მიწიდან აყრილ პროლეტარიატის შობით მხოლოდ ერთი დარგი აყვავდება ,,ინდუსტრიისა''—კავკასიურ-ალბანიურ ტიპის ყაჩაღობა. ვინც ეროვნულ სახელმწიფოს აშენებს, ის კი არ უნდა ანგრევდეს სოფლის მეურნეობას, არამედ უნდა ამაგრებდეს მას, რადგან მხოლოდ გლეხთა და თავად-აზნაურთა მეურნეობაზეა დამყარებული სახელმწიფოს ჯარისა, ფინანსების და სურსათის საქმე.

სოციალ-დემოკრატიას და მის მაჩანჩალა პარტიებს აღარ უნდათ გაიგონ, რომ ქართულ თავად-აზნაურობამ ემიგრაციით და სამოქალაქო ომით კი არ უპასუხა რევოლიუციას, არამედ, პატრიოტიზმით: საქართველოს განთავისუფლების იდეით სულ ჩადგმულმა ქართლ-კახეთის „ფეოდალებმა'' მთელი თავისი კოლექტიური ქონება ქართველ ერს შესწირა და სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოს შენობით და ტეხნიკურ აპარატით მოაწყობია სოციალისტურ პარტიებს ეროვნული საბჭო. ნუ თუ ჩვენი რობესპიერები ერთხელ მაინც არ დაფიქრდნენ, რომ ისინი უკუღმა აკეთებდენ საფრანგეთის რევოლიუციას: საფრანგეთში ემიგრაციას და სამოქალაქო ომს აგრარულ რეპრესიით—კონფისკაციით უპასუხეს, საქართველოში კი აგრარული რეპრესიების და შიმშილის ტერორით მთელ კლასს ემიგრაციის და შეთქმულობის ხრამში აგდებენ!..

სოციალ-დემოკრატიის ბელადებს დაავიწყდათ რომ მთელი საქართველო, განსაკუთრებით აღმოსავლეთი საქართველო, არ არის ისეთი სოციალური და კულტურული სტრუქტურისა, როგორიცაა სოციალიზმის ნაზარდი—გურია; ქართლ—კახეთში დღემდის ინტელიგენცია, ნასწავლი ხალხი მხოლოდ თავად—აზნაურთა წრიდან არის. და ამიტომ მას მერე რაც ქართლ—კახეთის თავად—აზნაურობა ტერორის გამო ქალაქში გაიხიზნა და საქველმოქმედო საგნად გახდა, სოფელი უინტელიგენტოთ დარჩა და დღეს სადმე თიანეთში ან დუშეთში საადმინისტრაციო ან საერობო საქმეებისათვის კაცი რომ ვერ უპოვნიათ, ოზურგეთის მაზრიდან უხდებათ გამოწერა.

სოციალ—დემოკრატია და მისი მაჩანჩალა პარტიები ვერ ხედვენ, თუ რაგვარი ეროვნული პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს აგრარულ რეფორმას საქართველოში: ეს რეფორმა ისე უნდა გატარდეს, რომ მიწა დასავლეთ—საქართველოს იმერეთის გლეხობის სტიქიურ ემიგრაციას ერგოს და არა იმ უცხოულ კოლონისტებს, ქართლ-კახეთში რომ არიან შემოხიზნული... ცალმხრივი აგრარული პოლიტიკა კანონმდებლობა, რომელიც მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობს, რადგან ხვალ კანონმდებლობის იმედი არა აქვს, განსაცდელს უმზადებს საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას და ცუდ ძველ პროვინციულ ინსტინქტებს აღვიძებს ხალხში.

დღეს საქართველოს საერთაშორისო ახალი კრიზისის დროს, ყველაფერს ამას მეტი გაგონება უნდა, ვიდრე გუშინ. უცხოელთა შემოსევა ჩრდილოეთ ან სამხრეთით, წალეკავს უჯარო საქართველოს... თუ დღემდის საქართველოს სოციალისტური მთავრობა მოკავშირე გერმანიის იმპერატორის ხიშტებზე იყო დანდობილი, საკუთარი რეგულიარული ჯარის ორგანიზაციას არ ენდობოდა და ქვეყანას გვარდიით ართობდა დღეს ბალკანეთის ამბების გამო მთავრობისათვისაც აუცილებელი გახდა ნამდვილი დივიზიები.

დღეს საჭიროა მთელ ქართულ ძალისა და ცოდნის კონცენტრაცია არის საჭირო ჯარის ორგანიზაციისათვის. ამის საქმეში ისე როგორც ადმინისტრაციის მოწყობაში ბევრის გაკეთება შეუძლია მემამულეთა, კლასს, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის ყოფილ თავად-აზნაურობას.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამდის ყველა კლასები და წოდებანი საქართველოში თავ-დადებულნი იყვნენ თავისუფალ საქართველოს იდეით სულ ჩადგმულნი.

დღეს ეს იდეა უკვე განხორციელდა, მაგრამ თუ საქართველოს სახელმწიფო დღევანდებურად მხოლოდ პროლეტარიატისა და მისი მაჩანჩალა კლასების სათალი დარჩა, და შემოსულ მტერს რომელიმე გარიყულ კლასის უკმაყოფილებით გაზარული საქართველო დახვდა, მაშინ ქართველთა სახელმწიფო უცხოელ გენერალთა პროვინციათ გადიქცევა, ერთ პროვინციაში მართლმადიდებელი გენერალი მოვა, მეორეში მაჰმადიანი და მესამეში შესაძლოა ლიუტერანიც მოვიდეს...

,,თავად-აზნაურობა, როგორც წოდება მოისპო, მაგრამ მას ფაქტიურად

დღემდის არ დაუკარგავს გავლენაო'', — ამბობს ბ-ნი ონიაშვილი. ეს უფრო მართალია, ვიდრე ბ-ნ ნოე ჟორდანიას აზრი—,,თავად-აზნაურობა როგორც კლასი მკვდარიაო''... და ნაციონალური ინტერესი იმას მოითხოვს, რომ რაც გავლენა, რაც ძალა და რაც ცოდნა ყოფილ თავად-აზნაურობას მოეპოვება,—ეს სულ მთლად ეროვნულ სახელმწიფოს მოხმარდეს...

კარგი პოლიტიკური პროგრამა იმ პარტიისაა რომელიც ამას მოახერხებს, და არა იმათი, ვისაც რობესპიერისა და მარატის სახელის მოხვეჭა აწუხებთ.

მხოლოდ მორიგებისა და კომპრომისის ნიადაგზე დამყარებულ მიწის კანონით შეიძლება ამ საქმის გაკეთება და სწორედ ასეთი ზომიერი, სახელმწიფოებრივი პროგრამით შეიძლება გაერთიანება ეროვნულად მოაზრე თავად-აზნაურობისა და შეგნებულ გლეხობისა, სახელმწიფოსა და საკუთარის მეურნეობის დასაცავად.

გრიგოლ ვეშაპელი.

პური და ფული საქართველოს ჯარს!

უდიდესი სტრატეგიულ მნიშვნელობის შუა ევროპის და მცირე აზიის შორის გადებული ბალკანეთის ხიდი გაცვდა, ჩაიზნიქა და ლამის ჩატყდეს... გერმანელების და უნგრების რკინის ლეგიონები მიეშურებიან ბოლგარეთისაკენ მის გამაგრებისათვის. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გერმანელები ამას მალე მოახერხებენ. მაგრამ ცხადია, რომ ბოლგარეთის ამბავი ქართველთა ცხოვრების მყუდროებას დაარღვევს. აქამდის, გერმანულ ბატალიონების მფარველობის წყალობით დამშვიდებულათ ნელ-ნელა, ვითომც ვაწყობდით ჩვენს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და ძალიან ნაკლებად ვზრუნავდით საკუთარ და ნამდვილ სამხედრო ძალის შექმნაზე. ბალკანეთის მეხის გრიალმა გვონებ უნდა გამოგვაფხიზლოს და გამოგვიყვანოს სოციალისტურ ფანტაზიების ბურუსიდან. აჩრდილი ბათომისა თბილისს უახლოვდება, ვიდრე ჩვენ გამოვარკვევდეთ თუ რა უფრო შეეფერის საქართველოს დემოკრატიულ წეს-წყობილებას, მუდმივი ჯარი თუ მილიცია, შესაძლოა უჯარო ქვეყანას უცხოელთა ურდოებმა თბილისიც და ქუთაისიც წაგვართვან და [illegible] დღეს ჩვენი ულტრა-დემოკრატიული რესპუბლიკის თავისუფლების და დამოუკიდებლობის გეგმები თავზე დაგვაფრიწონ.

რა გინდ საერთაშორისო კომბინაციაში არ მოხვდეს საქართველო, ყველა შემთხვევაში მას ესაჭიროება საკუთარი მუშტი-ანუ ეგრედ წოდებული გაწრთვნილი რეგულიარული ჯარი. სხვისი ძალის, სხვისი პურის, სხვისი ფულის მუდმივ იმედით საკუთარი და მით უფრო დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შეიქმნების.

იტყვიან, საქართველოს პური არა აქვსო. ტყუილია. საქართველოს ახალ მოსავლით საკუთრივ ერთი წლის სამყოფი პური და სიმინდი აბადია. მაგრამ ვისი ბრალია, რომ იგი სპეკულიანტთა დავლათ გადაიქცა.

იტყვიან, საქართველოს ფული არა აქვსო. ტყუილია. ქართველი ხალხი გატენილია ფულით, მაგრამ მისი ბრალი არაა, რომ ამ ფულს მას არვინ სთხოვს.

იტყვიან ქართული სოფელი არ არ იძლევა ჯარის კაცსო. ტყუილია. იძლევა, მაგრამ განა მისი ბრალია, რომ სოფლის ადმინისტრაცია სრულიად უვარგისია! საქართველოს აქვს საკმაო პური, ფული და ფიზიკურად ჯანსაღი ხალხიც. მაგრამ უბედურება სწორედ იმაშია, რომ საქართველოს ამ წუთს არ ჰყავს მტკიცე და გაბედული ეროვნული მთავრობა, რომელსაც შეეძლოს რეგულიარულ ჯარის ორგანიზაცია, „რეგულიარული ჯარი საფრთხეა საქართველოს რესპუბლიკისათვის“ გაისმის მთავრობის წიაღიდან. ასეთ გამოურკვეველ მთავრობას ხალხი უფრთხის, ამიტომაც არ იძლევა, არც პურს, არც ფულს, მაგრამ ამ ორჭოფობას და რყევას, ხომ უნდა როდისმე მოვრჩეთ. დღეს მაინც, როდესაც ბალკანეთის ღრუბლები საქართველოს უახლოვდებიან. მთავრობა მოვალეა ქვეყნის სახიფათო მდგომარეობა დროზედ აუწყოს ხალხს და აცნობოს, რომ მის დაგროვილ პურს და ფულს განიავებს, დაღუპავს და მის კერას მიწასთან გასწორება ელის. დარწმუნებული ვართ, რომ ხალხი არ შეუშინდება არავითარ ხარჯს, არავითარ მსხვერპლს ამ საბედისწერო ჟამს. 30000 ჯარის-კაცს დაახლოვებით დასჭირდება, 1500 ფ. პური და სიმინდი დღეში და 5 მილიონი მანათი თვეში! წარმოუდგენელია, რომ ქვეყანას ამ ხარჯის გამოღება არ შეეძლოს ყოველ შემთხვევაში, შეგნებული ნაწილი ქართველი ხალხისა ამას იზამს და ძალდაუტანებლივ გამოიღებს თავის წვლილს. შეუგნებელს კი ძალა უნდა დაატანოს. თუ მათ დასამორჩილებლად მთავრობას საკუთარი ძალა არ ეყოფა, მოკავშირე სახელმწიფოს ძალა უნდა გამოიყენოს. ეს აუცილებელია მაშინ ჩვენ გვეყოლება ჯარი, მას ექნება სამყოფი პური და დროზედ ფული. საზღვარ გარეთიდან პურის და ფულის საყიდვის ან სესხების კომბინაციების მოლოდინში ჩვენ ჩვენი დაგვემართება. მივმართოდ ჩვენს ხალხს. უთხრად მას, რომ საქართველო დღეს ალყა შემორტყმულია. ამიტომ იგი მოვალეა თვითონ იზრუნოს თავის თავზე, რომ სანამ ჩვენ ზურგს გვიმაგრებენ ძლიერი მეგობრები გერმანელები უნდა ვისარგებლოთ ამით, შევქმნათ საკუთარი მამაცი ჯარი, მივცეთ მას დაუყონებლივ ფული ჩვენი ჯიბიდან და პური ჩვენი ბეღლებიდან. თუ ორ თვეში ჩვენ ვერ დავაწყობთ ჯარს და არ მივცემთ მას პურს და ფულს დავიღუპებით. რადგანაც საქართველოს მტრებთან არ სძინავთ. მეგობრები ილაჯგაწყვეტილები ჩვენი უნიათობით და უმოქმედებოთ ბოლოს თავს დაგვიკრავენ და ბარგს აიკრამენ. მაგრამ მაშინ გვიანღა აქნება თითზე კბენანი რადგან საქართველოს ოკუპაცია ფაქტად იქცევა.

დ. ცაჩნაძე.

მეურნეთა და მიწის მესაკუთრეთა შეკავშირება.

რუსეთის ნანგრევებიდან ახლად აღორძინებული საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, უეჭველია დიდს გავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ სტრუქტურაზედაც.

უეჭველია ამისდა მიხედვით ძირიანათ უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაც.

თუ აქამდე რუსეთისა და კავკასიის საერთო საზღვრებში გათქვეფილი საქართველოს მეურნე უმნიშვნელო და უგავლენო ელემენტს წარმოადგენდა დღეს როდესაც იგი ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ და ფინანსიურ ბურჯათ უნდა იყოს ყველასაგან აღიარებული—რა თქმა უნდა, რომ მის ხმას აწინდელ პოლიტიკურ აღმშენებლობაში მით მეტი წონა და გავლენა ექნება, რაც უფრო დიდია მისი მონაწილეობა ეკონომიურ შემოქმედების საერთო ჯამში.

რა მნიშვნელობა ექნებოდა უწინ საქართველოს ქალაქებისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა მხნელ მთესველი რომ სულაც მოსპობილიყო?!

არავითარი რუსეთის იაფი პური ყველას გასწვდებოდა,

ასევე ითქმის მესაქონლეობასა, მეხილეობასა და მევენახეობის შესახებ, რადგან უკრაინა ოსმალეთიდან შემოსული საკლავი და განჯა-ერევნის ღვინო-ყურძენი ან სულ ჰკლავდა ან საკმაოთ აფერხებდა ჩვენი ქვეყნის შესაფერ სამეურნეო დარგს, რითაც საშუალებას უკრავდა ჩვენებურ მწარმოებელს თავისი მეურნეობის გაძლიერებისათვის.

ახლა გარემოება მთლათ შეიცვალა. სახელმწიფო თვითონ არის დაინტერესებული რათა გარედან რაც შეიძლება ნაკლები შემოვიდეს, ხოლო საქართველოს მეურნეობამა და მრეწველობამ იმდენი პროდუქტი და ფაბრიკატიც შექმნას, რომ შინაური მოთხოვნაც დააკმაყოფილოს და გარეთაც რაც შეიძლება მეტი გაიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას აუცილებელი ფინანსიური კრახი მოელის.

და, აი, თუ აქამდე ჩვენი სოფლის მეურნე მწარმოებელი ყველასაგან ხელის წასაკრავი იყო, თუ მისი როლი და გავლენა თვით ჩვენ შინაურ ბაზარზე სულ უმნიშვნელო გახლდა, რადგან უმისოდ ც იოლათ წავიდოდნენ—დღეს მის გამჭრიახობასა და უნარიანობაზეა დამყარებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

თუ უწინ სხვათა იაფი პროდუქტების შემოსატანათ, მხოლოდ რკინის გზათა წესიერი მიმოსვლა იყო საჭირო და ამ შემთხვევაში რკინის გზის მუშების ქინიანობასაც-კი უწევდნენ ანგარიშს—აწი, საქართველოს ფარგლებში ურმითაც კარგათ შემოიტანენ, თუ რკინისგზების მადა ,,პატივისცემისადმი'' საზღვარს გასცილდა.

ასედაც მოხდა ჩვენ მოწმენი ვართ რომ ქართლიდან ურმის ქარავნები მოდის და მოაქვთ თბილისში ხილი, ხორბალი, ბოსტნეული და ფქვილი, ხოლო აქიდან მარილი და რაც რომ იშოვება

როგორც ხედავთ დრონი და როლნი იცვალნენ, ხოლო არ იცვალა დაუმსახურებელი გავლენა და პრივილეგია ბაზრის ხალხისა, ,,პროლეტარიატისა'' და მისი მაჩანჩალა კლასებისა.

დღევანდელი სახელმწიფოებრივი საქმიანობა სწორეთ ამ ბაზრის ხალხის გამოვნებაზეა წარმოებული,

ამიტომ არის რომ ქალაქათ შედარებით მეტი წესიერება არის და, ასე ვთქვათ, სამართალიც. ვიდრე სოფლათ.

ამიტომ არის, რომ როცა ქალაქმა სოფლათ ცხოვრების საძირკველი მოშალა, საკუთრების ხელშეუხებლობა მოსპო და ამით მუდმივ ანარქიას გაუმზადა ნიადაგი—თვით თავის წიაღში ,,მეშჩანურის“ წინდახედულობით მისი ურყეველობა აღიარა, ხოლო სოფელი როგორც ,,Talula raza'' თვის ექსპერიმენტების საგნად გახადა.

ამითვე აიხსნება, რომ ქალაქათ გულგრილათ უყურებენ თუ როგორა თას ბოჭკობით შემოსული განჯური დაბალი ღვინო ბაზარს უკარგავს კახურ-იმერულ ღვინოს ან და ლეკის ხილი (საიდანაც სხვა სანოვაგეს ოსმალოს მთავრობა არ უშვებს) როგორ აფუჭსავტებს ქართლის ხილს და სხვა.

ასედაც უნდა იყოს რადგან ბაზრის ხალხი, როგორც განსაკუთრებით მომხმარებელი, დაინტერესებულია მხოლოთ ერთ რამეში: იაფი იყოს და გინდ ეშმაკისა.

სამაგიეროთ სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს; რომ ჯერ ერთი რომ მთელი შინაური მოთხოვნილება ადგილობრივ ნაწარმოებითვე იყოს დაკმაყოფილებული და ამასთან ვე, რომ საქართველოს მწარმოებელ-მეურნეს რაც შეიძლება მეტი საფასური აეღოს, რათა განაგრძოს და გაადიდოს თვისი წარმოება.

მეურნეთა ინტერესი მით უფრო უნდა საგულებელ ჰყოს მთავრობამ, რაც უფრო ჩვენი ქალაქები განსაკუთრებით მომხმარებელ და მჭამელ ელემენტს წარმოადგენენ და არა მწარმოებელს, რადგან ხსენებული ქალაქები არასა ქმნიან რათა თითონაც მიაწოდონ სოფლელთ ეკვივალენტი მათის ნაშრომისა. ასეთი ქალაქია პირველ ყოვლისა თბილისი.

თუმცა ასე საგრძნობლათ გაიზარდა როლი მეურნე მწარმოებლისა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და ასე მცირედია ფაქტიურათ (ჯერ-ჯერობით მაინც) მნიშვნელობა ბაზრის ხალხისა, ამისდა მიუხედავათ მთელი გავლენა, მთელი საქმიანობა სწორეთ ამ უკანასკნელთა ხელშია.

ეს გარემოება ნორმალიც არის და სახიფათოც ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის. ჰქმნის, მოღვაწეობს, ამაგობს ერთი —განაგებს და სხვა.

უეჭველია ამ უკულმართობას ბოლო უნდა მოეღოს.

თუ სოფლის მეურნე—მესაკუთრე საჩქაროთ არ დაეწყო მწყობრ რაზმებათ და არ შექმნა ძლიერი პროფესიული ორგანიზაციები, ისე მისი ინტერესი მუდამ შებღალული იქნება: განჯური ღვინო-ყურძენი კვლავ განდევნის ჩვენივე ბაზრიდან ჩვენსავე ღვინო-ყურძენს; ლეკური ხილი ქართლის ხილს ბაღშივე დაალპობს და უცხოეთის უბაქო ხორბალი კვლავ გააკანგებს ქართლელის გუთანს, რასაც ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს ჯერ ეკონომიური და შემდეგ პოლიტიკური მონობაც მოჰყვება.

საჭიროა მეურნეთა ერთობა, საჭიროა თვისი ინტერესის გაგება და პროფესიულ კავშირების საშუალებით კულტურულ ეკონომიური ბრძოლა თვისი უფლების განსახორციელებლათა და ინტერესის დასაცავათ.

დეე, ყოველმა მეურნემა და მიწის მესაკუთრემ ოჯახიდან ოჯახამდე სოფლიდან-სოფლამდე და საქართველოს კიდით კიდემდე გავძახოთ ძლიერი ხმა შეკავშირებისა, შრომისა და ბრძოლისა ჩვენი სახელმწიფოს საკეთილდღეოთ.

დეე, იცოდეს ყოველმა მეურნემა და მიწის მესაკუთრემ, რომ თვითეული მათგანი მოვალეა შექმნას ან ჩაეწეროს არსებულ მეურნეთა ადგილობრივ მიწის მესაკუთრეთა კავშირში და მაგალითად მუდამ ბაზრის მუშათა პროფესიული ორგანიზაციები ჰქონდეს სახეში, რომელთა საშუალებით, მოქმედებით უმნიშვნელო ელემენტი—ფაქტიურათ მთელი სახელმწიფოს მოკარნახე ფაქტორად გადაქცეულა.

ივ. ციციშვილი.

შეუდარებელი ქვეყანა.

ტყუილათ არ გვპირდება სოციალ-დემოკრატიის მხცოვანი ბელადი ბ-ნი ნოე საქართველოსაგან ისეთი სახელმწიფოს შექმნას, რომლის სწორი დედამიწის ზურგზედ ჯერ არ ყოფილიყოს.

მართლაც, რითი არ არის ჩვენი ქვეყანა ეხლავე შეუდარებელი და უბადლო? უკეკლუცესი, უმდიდრესი თუმცა ამ თვისებათა მინიჭებაში არც სოციალ-დემოკრატიას და არც მის ბელადს არავითარი ღვაწლი არ მიუძღვით

საქართველო ძველთაგვე „ღვთის მშობლის წილხვდომ ქვეყანათ“ ითვლებოდა და აქვე ,,ქრისტე ღმერთმაც თავისი სიუხვის კალთა დ იბერტყა ბევრათ ადრე, ვიდრე კარლ-მარქსი თავის ,,კაპიტალს, და,სწერდა,

ან რომელია კიდევ ასეთი უაღრესათ შეგნებული დემოკრატიულ-რესპუბლიკანური ქვეყანა?

მართალია, „ერთობის'' პირით რომ ვსთქვათ, „ჩვენმა სოფლებმა, განსაკუთრებით მთის პირათ მცხოვრებლებმა დიდი მოუთმენლობა და მოთხოვნათა მაქსიმალიზმი გამოიჩინა და ამის უმთავრესი მიზეზი, მისივე სიტყვით, „ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობაა“, მაგრამ ეს მცირედი გარემოება არ დაგვიშლის საქართველო, რომ ულტრა დემოკრატიულ ქვეყნათ გამოვაცხადოთ!

ამისთვის „ტრადიცია“ საჭირო არ არის.

სად არის მეორე ერი, რომელიც ესეთი სისწრაფით მიექანებოდეს აღთქმულ ,,სოციალისტურწესწყობილებასაკენ“?

თუმცა მეცნიერულ სოციალიზმის მცნებით საჭიროა, მთელი წყება ობიექტურ და სუბიექტურ პირობებისა შესაძლებლათ რომ ხდიან „სოციალისტურ სამეფოსადმი'' დაახლოვებას და იმავე ,,ერთობის'' უკანასკნელი დღეების აზრით ჩვენ სოციალიზმის ავანგარდს, რევოლიუციონურ პროლეტარიატს ერთი ,,პატარა'' ნაკლი აქვს, რადგან მას „შრომის სკოლა არ გაუვლია'' წარმოების ექსტენსივობისა და საერთოთ საწარმოვო ძალთა განუვითარებლობისა გამო, მაგრამ... ჩვენ მაინც უნდა ვაღიაროთ საქართველო სოციალიზმის კლასიკურ ქვეყნათ!..

სუბიექტური პირობებიც საკმაოთ გვიწყობენ ხელს, რადგან ჩვენი მუშები ძლიერ ,,მომწიფებულნი'' არიან სოციალურ რევოლიუციისათვის,—ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროებში მომუშავეთ მთავრობას ისეთი მოთხოვნილებანი წარმოუდგინეს, რომ მათ დასაკმაყოფილებლათ მოუნდება ალბათ სახელმწიფოს მთელი ,,ზედმეტი ღირებულებაც“!

ან რას ნიშნავს, თუ არ მთელი ქვეყნის სოციალისტობას თუ გინდ ის ფაქტი, რომ ეროვნული და მინისტრთა საბჭოც სოციალისტურია?!

სად გინახავთ მეორე ისეთი გულკეთილი და ლმობიერი, ,,კეთილშობილური რაინდობით'' და უხვი სტუმართ მოყვარეობით აღსავსე მთავრობა, როგორც ჩვენი სოციალისტურია!..

სწორეთ ღირსეულადაც აფასებს ჩვენი ,,დემოკრატია'' მთავრობის ნდობას!

მართალია ამ ბოლო დროს „სპეკულიაციამ'', ქურდობამ და ყაჩაღობამ ,,მოარულის'' სახე მიიღო იქამდე, რომ თვით სასახლეშიც აღმოჩნდა ,,მომაქსიმალისტე'' დემოკრატი! — მაგრამ...

თურმე რევოლიუცია ჯერ არ დასრულებულა და ,,ერთობის'' პოეტური ენით რომ ვსთქვათ ,,ტალღა მისი დაგდაშვა, მარა ჯერ არ დაწყნარებულა'' და ამ ,,დასაწყნარებელ'' რევოლიუციის ტალღებზედ ,,მშვიდათ'' დასცურავენ ყოველგვარი მობალშევიკე ,,დემოკრატები'' საქართველოს რესპუბლიკის ,,მოქალაქენი'' და ვინ იცის როგორ მძიმე საფრთხეს უმზადებენ მას!

შეუდარებელია და სწორუპოვარი ჩვენი ქვეყანა—იგი სოციალისტურია!...

დ. ჯავახიშვილი.

ქართული ლეგიონის ისტორიიდან.

თითქმის ერთი თვე სრულდება რაც ჩვენ დედა ქალაქში ჩამოვიდა უცხოეთიდან ქართული ლეგიონი. ამ ლეგიონის შესახებ ხალხში დადის სხვა-და-სხვა ხმები, რომელთაგანაც, თითქმის არც ერთი ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ეს ლეგიონი, ჩამოსვლისათანავე, ბატონმა სამხედრო მინისტრმა, ჩარიცხა ქართული ჯარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იმავე სახელით, რომელსაც აქამდე ატარებდა; მხოლოდ საზოგადოებას არავინ არ ამცნო ვისგან იყო შემდგარი ეს ლეგიონი, რა მიზანი ჰქონდა მის შედგენას, რას ემსახურებოდა იგი აქ მდე ან სად მუშაობდა. მე არა ერთხელ გამიგია, რომ საზოგადოება დაინტერესებულია ამ საკითხით და ამის გამო მე ვიღებ ჩემს თავზე, როგორც ერთი ორგანიზატორთაგანი ამ ლეგიონისა, გავაცნო საზოგადოებას ისტორია მისი შექმნისა და მნიშვნელობისა.

ზოგიერთ საკითხს, რომელიც თან ახლდა ამ ლეგიონის შექმნას და ხსენებულ კომიტეტის მოღვაწეობას, მე იძულებული ვარ, დღევანდელ პოლიტიკურ პირობათა მიხედვით, მხარი აუქციო და გადავდო იმ დროისათვის, როდესაც მეტი შესაძლებლობა იქნება მათზე ლაპარაკისა.

1905 წ., რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის დამარცხების შემდეგ, დიდძალმა ქართველმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა მოიყარა თავი საზღვარგარეთ. ქალაქი ჟენევა შექმნა ერთ უდიდეს ცენტრთაგანი ქართველთა კოლონიების და სტუდენტთა საზოგადოებისა. რადგანაც ჟენევაში [illegible] სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენელნი, მათ შორის [illegible] გაცვლა-გამოცვლა, რომელიც ხშირად იღებდა სასტიკ ხასიათს. კამათი უმეტეს შემთხვევაში იყო ხოლმე ნაციონალიზმზე და ანტინაციონალიზმზე.

ქ. ჟენევაში, რამდენიმე თანამოაზრემ შევადგინეთ ეროვნული ჯგუფი; ამ ჯგუფის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს განთავისუფლება, თავისუფლება სამშობლოსი ადრე თუ გვიან. ამ ჯგუფს მოემხრო შესამჩნევი ნაწილი ქართული კოლონიისა. მეორე ნაწილმა კი, სახელდობრ სოც.-დემოკრატებმა ყოველივე ელფერისამ, სასტიკათ გამოილაშქრეს ჩვენს წინააღმდეგ მაგრამ ჩვენს მუშაობაში ხელი ვერ შეგვიშალა და ვეწეოდით ჩვენს ტვირთს როგორც კი შეგვეძლო. ერთი იმ ბატონთაგანი, რომელსაც ახლა განთავისუფლებულ საქართველოში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და, მგონი, ეხლა უკრაინაში უნდა იყოს გაგზავნილი დიპლომატიურ საქმეებზე, გვიკიცხავდა ნაციონალიზმს და გვეუბნებოდა: „თქვენ თუ საქართველოს თავისუფლებას თხოულობთ,—ჩვენ სამეგრელოსას მოვითხოვთო“...

მე ამ წერილში არავის პიროვნების გაბზილება არ მინდა და თუ ხანდის ხან კალამს წამოვეკრავ ზოგიერთა მაგალითებს, მხოლოდ იმიტომ, რომ პროვოკაციულ ლაპარაკს აქამდე ბოლო არ მოეღო და, ეხლაც, ხანდიხან, ამნაირი პირები სცდილობენ სახელი გაუტეხონ საუკეთესო მამულიშვილებს. მაგალითად ლეგიონის ჩამოსვლისთანავე ზოგიერთმა ვაჟ-ბატონებმა შეურაცყოფა მიაყენეს ლეგიონერებს და მათ მოღალატეები უწოდეს, რაც ლეგიონერებმა დიდათ აღელვებულებმა შემომჩივლეს. მე, რამდენათაც შემეძლო დავამშვიდე ისინი და აუხსენი მათ, რომ ეს ზოგიერთს მოსდის თავისი უვიცობით.

აქ მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვსთქვა, რომ ქართული ლეგიონი არის ნამდვილი ეროვნული, პატრიოტული ჯარი, რომელმაც შეიგნო საქართველოს თავისუფლების იდეია უფრო ადრე —ვიდრე ბევრმა სხვამ.

(გაგრძელება იქნება).

[illegible] მაღლაშვილი.

რევოლუცია იყო თუ ანარქია?

(დასასრული.)

„Земля“ კი ადვილათ გაიგო რუსის მუჟიკმა. ამ ლოზუნგმა მას გაუღვიძა მდაბალი ინსტიქტები, — გაუმაძღრობის, ცარცვა-გლეჯისა და თავად-აზნაურთა უზომო სიძულვილისა.

ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან „Земля“ ნიშნავდა უსასყიდლოთ მიწის ჩამორთმევას მემამულეებისაგან და უსასყიდლოთვე მის დარიგებას.

განა შეიძლება ცარცვა-გლეჯა, „არსენობა“, ყაჩაღობა იდეათ გამოდგეს? მაგრამ სოციალისტები გაიჭიმებიან, თვალებს დახუჭავენ და მოჰყვებიან ახალზელანდიის მაგალითებს. ახალ ზელანდიის მაგალითი ჩვენ ვერ გვიშველის. ახალი ზელანდია სადღაც მიკარგული კუნძულია.

ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ცივილიზაციის პრინციპებით. ეხლანდელი ცივილიზაცია კი, ევროპის ცივილიზაცია, დაფუძნებულია სავსებით ევროპის მტკიცე მეცნიერებას. ევროპა თავის ხელოვნებით და ფილოსოფიით მაინცადამაინც ვერ დაიტრაბახებს აზიასთან, მაგრამ იმას შეუქმნია დიდ მტკიცე მეცნიერება და იმით ამაყობს, რადგან მისი წარმონაშობია ევროპის სახელმწიფოების კონსტიტუცია, მათი ტეხნიკა და ბუხგალტერია, შემქნელი დიდებული იმპერიებისა და აუარებელი სიმდიდრისა. და ევროპაც თავის მეცნიერების დაუკითხავათ არა თუ დიდ რეფორმებს არ შემოიღებს, კანონსაც არ გამოსცემს. რუსეთში კი მიწის საკითხი ისე დაყენებული, რომ ეს რეფორმა კი არა, სოციალური წესწყობილების გარდაქმნაა. ევროპის მეცნიერებას კი ჯერ-ჯერობით კერძო საკუთრება არ უარუყვია; ეს ინსტიტუტი ბურჯია, დედა ბოძია მთელი სოციალური წესწყობილებისა.

მაშასადამე სრულიად უსაფუძვლოთ, მეცნიერების დაუკითხავათ, შერყევა კერძო საკუთრების ინსტიტუტისა, თუნდ მიწის დარიგებით ღარიბ და უმიწო წყლო მუშათათვის იდეათ ვერ გამოდგება.

უდიდეთ კი ხალხის მძარცველობას ამბოხება ჰქვია და არა რევოლუცია,

მაშ რა მოხდა? შეიძლება იკითხონ.

როცა ომი გამოცხადდა, შიგ ინგლისი ჩაერია, და საფრანგეთ დაეხმარა, ორივენი გერმანიის ტეხნიკითა და ორგანიზაციის ნიჭითა და უნარით არ ჩამოუვარდებოდნენ. რუსეთი კი ორგანიზაციით და ტეხნიკით უფრო სუსტი იყო.

გერმანიის რომ მორეოდნენ, იმპე-

რია დაირღვეოდა. დარჩებოდა სამთავროები, საჰერცოგოები, საკაროლოები, შეიძლება პრუსიის საკაროლოც დარჩენილიყო, მაგრამ იმპერიას კი მოსპობდნენ. ვერ მოერიენ გერმანიას, დამარცხდა რუსეთი, და ამას მოყვა რუსეთის იმპერიის დაშლა. დღეს ეს ჩვენი სოციალისტებისათვის ცხადია.

როცა რომის იმპერია დაირღვა, მის ნანგრევებზე აშენდნენ სხვა და სხვა სახელმწიფონი, მაგრამ მათი აგებას რამოდენიმე საუკუნე მოუნდა. დაინგრა რუსეთის იმპერია და ამან გამოიწვია საშინელი ანარქია. ეს ადვილი გასაგებია, თუ მოვიგონებთ იმის განმარტებას თუ რა არის სახელმწიფო. სახელმწიფო არის უფლება ძალდატანებით მეუფებაზედ; ხოლო ძალას ამ ძალდატანებისათვის სახელმწიფო კრებს მასის შეგნებაში სახელმწიფოსადმი მორჩილებას მოვალეობისას. როცა იმპერია დაინგრა, სახელმწიფო ორგანიზაციის აპარატიც მოიშალა და ხალხმა არ იცოდა ვის დამორჩილებოდა, მაშინ გაქრა შეგნება სახელმწიფოს მორჩილების მოვალეობისა და ამან გამოიწვია საშინელი ანარქია. რუსეთის სოციალისტებმა და მათთან ერთად ჩვენებმაც ეს ანარქია რევოლიუციათ მონათლეს, მაგრამ რევოლიუციას ამისთანა ყვირილი ვერ შექმნის.

დღეს არის ანარქია. შეიძლება ჩვენში ეს ანარქია ნაკლები იყოს, მაგრამ ჩვენ დღეს ყველას კისერზედ გვაწევს დიდი საქმე სახელმწიფოს აგებისა, და მასაში კი სუსტათ არის შეგნება სახელმწიფოს მორჩილების მოვალეობისა. დავანებოთ თავი უსაფუძვლო და უნიადაგო ყვირილს: „დიდი რევოლიუცია, რუსეთის დიდი რევოლიუცია“. რევოლიუცია დიდებული მცნებაა და რუსეთის ბრბოს საჯიჯგნათ არ გამოდგება. რუსეთი თავის-თავად 20—30 წელიწადი ვერ დაეწყობა.

ესე და ამასა პირსა ზედა, არ ყოფილა რევოლიუცია, არამედ დაინგრა დიდი იმპერია და ამას მოჰყვა ანარქია. თუ ამას არ შევიგნებთ, არ დავანებებთ თავს რევოლიუციაზე ღრიალს, ჩვენ არა თუ სახელმწიფოს, სოფელსაც ვერ ავაშენებთ.

ბარ. გამსახურდია

ქართული პრესა.

სოციალ.-დემოკრატიული აგიტაცია 30 მილიონით.

გაზეთი ,,შრომა'' (სოც. რევოლ. ორგანო) სწერს:

,,თფილისის აღმასრულებელი სასოფლო კომიტეტთან არსებული სასოფლო კომისია სეტყვასავით გზავნის პროპაგანდისტებს სოფლად, მართავს მიტინგებს და სხ. ეს მოქმედება, რა თქმა უნდა, მოსაწონი იქნებოდა, რომ ამ პროპაგანდისტებს მიზნათ ქონდეთ მხოლოდ სახელმწიფოებრივი საქმე, თუნდ მაგ. ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობას იდეის პოპულარიზაცია და მთავრობის პრესტიჟის დაცვა. ჩვენთვის გასაგები იქნებოდა მაშინ ეს მოვლენა, ვინაიდგან ისეთი დაწესებულება, როგორც არის აღმ. კომიტეტი, რომლის ხელში მხოლოთ და მხოლოთ სახელმწიფოებრივი ხასიათის საშუალებებია, დიახაც, უნდა ეწეოდეს საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის პროპაგანდა-აგიტაციას, მაგრამ როდესაც ამ პროპაგანდა-აგიტაციის მიზანი არის არა საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათისა, არამედ ს.-დემოკრატიის აგრარული პროგრამის ხალხისათვის თავზე მოხვევა, როდესაც ეს პროპაგანდა აგიტაცია ემსახურება მხოლოდ ს. დემოკრატის კერძო პარტიულ ინტერესებს, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს დიდი უსამართლობაა, რომელიც არაფრით არ შეიძლება გავამართლოთ, მით უმეტეს, რომ ეს სოც.-დემოკრატი პროპაგანდისტები ხალხს თავზედ ახვევენ ისეთ უვარგის პროგრამას, რომელიც ეწინააღმდეგება ხალხის ინტერესებს. ჩვენ ვიცით, რომ ამ სასოფლო კომისიამ დაიქირავა უამრავი პროპაგანდისტები, რომლებიც კალიასავით მოედვენ სოფლებს და ხალხს მისივე საწინააღმდეგო რეზოლიუციებს ახვევენ თავზე მიწის საკითხში. ჩვენ ვიცით რომ აღმ. კომიტეტს საამისო საშუალებაც აქვს, რომ მის ხელშია ის, 30,000,000 მან. ფონდი, რომელიც ბოლშევიკურმა მთავრობამ ფრონტის ლიკვიდაციისათვის გამოგზავნა და ეს ფრონტის ლიკვიდაცია საქართველოს ხაზინას აწევს კისერზე. ასეა თუ ისე, ყოვლნაირი საშუალებანი აღმ. კომიტეტისა არის არა პარტიული, არამედ საზოგადოებრივი, ვინაიდგან თვით ეს ორგანიზაცია არის საზოგადოებრივი ხასიათისა. ამიტომ შეუძლებელია, რომ ეს თანხა უკანტროლოდ და ჯგუფური მიზნებისთვის იხარჯებოდეს''...

გერმანული პრესა.

გ. ბაგრატიონის და სხვა მემამულეთა დატუსაღების გამო.

„გაზეთი Kauk. Post სწერს: თფილისში დაატუსაღეს ყოფილი თავადაზნაურობის მარშალი თავადი გიორგი ბაგრატიონ დავითაშვილი, მისი ძმა დავითი და კიდევ სამი სხვა მემამულე. ამ გარემოებამ დიდი გაბრაზება გამოიწვია საზოგადოების ყველა წრეებში, რადგან ვინ არ იცის, რომ აქ მოქმედებს სოციალისტური აგიტაცია მემამულეების წინააღმდეგ.

ამ ვაჟბატონებმა, რომელნიც რუსის დესპოტიის ჟანდარმერიას ებრძოდენ, თვით შემოიღეს სოციალისტური ჟანდარმერია და საიდუმლო პოლიციაო''.

ნ. ჟორდანიას სამხედრო პროგრამაზე.

„Kankas Post“ შესახებ ნ. ჟორდანიას აზრებისა ჯარისა და და მილიციის წესზე შემდეგსა სწერს:

„ნ. ჟორდანიას სახალხო მილიციის შედგენა უნდა. ჩვენ გვგონია, რომ იმის შემდეგ, რაც საქართველომ წითელი გვარდიის წყალობით განიცადა, ბატ. ჟორდანიას ნაკლები ხალისი უნდა ჰქონოდა ამგვარი ექსპერიმენტების განსამეორებლად. კულტუროსან შვეიცარიას, სადაც ყოველ მოქალაქეს უფლექის და კანონის შეგნება აქვს, შეუძლიან იქონიოს სამოქალაქო მილიცია. საქართველოში კი მთელი ხალხის შეიარაღება დღევანდელი ანარქიის დაკანონება იქნებოდა.

ბ. ჟორდანია სცდილობს საქართველოს ნეიტრალიტეტი მოუპოვოს და სწამს, რომ შემდეგ საჭირო აღარ იქნება მუდმივი ჯარი. ამგვარად ქვეყნის ბედი უცხო სახელმწიფოზე იქნება დამოკიდებული. ჩვენის აზრით, სხვის იმედზე დაყრდნობილს ქვეყანას არ ძალუძს დიდხანს არსებობა: უფლებაც არ აქვს ამისთვის. საქართველოსთვის ძლიერი მუდმივი ჯარი უფრო სიმედო მცველი იქნებოდა, ვიდრე საერთაშორისო ხელშეკრულებანი. ვინ გაუწევს ანგარიშს ნეიტრალურ ქვეყანას, რომელიც წითელ გვარდიის მსგავს სახალხო მილიციაზე იქნება დაყრდნობილი.

დიდათ სავალალოა, რომ საქართველოს მინისტრ-პრეზიდენტი ასეთ სიტყვებს ამბობს იმ დროს, როცა, რეგულიარული ჯარის ორგანიზაცია იწყება. მაგრამ იმედი ვიქონიოთ რომ მამაცი ქართველი ოფიცრები და უნტერ ოფიცრები ბ. ჟორდანიას სიტყვების გავლენით არ დაჰკარგავენ მუშაობის ხალისს და განაგრძობენ თავიანთ მძიმე მოვალეობის ასრულებას სამშობლოს საკეთილდღეოდო“.

ქრონიკა.

◆ ვილჰელმი გერმანელების წასვლის შესახებ საქართველოდან. საქართველოში მყოფ გერმანელ აფიცრებმა დეპეშით სთხოვეს იმპერატორ ვილჰელმს, რომ ისინი დასავლეთის ასპარეზზე გაგზავნონ, იმპერატორისგან მიღებულია საპასუხო დეპეშა, რომლითაც იგი მადლობას უცხადებს მათ მამულიშვილობისათვის და აუწყებს, რომ დასავლეთის ასპარეზზე მდგომარეობა შეურყეველია და ისინი საჭირონი არ არიან.

◆ ფონ-კრესი კ. აბხაზთან. გენ. ფონ-კრესმა სამშაბათს ინახულა ყოფილი წინამძღოლი თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კონსტ. ნიკ. აბხაზი, რომელმაც მეორე დღისით გენერალი საპასუხო ვიზიტით ინახულა.

◆ გერმანო-კავკასიის ბანკში ამ მოკლე დროში კავკასიის ქალაქებში არსდება სავაჭრო ბანკი—,,გერმანო—კავკასიის სავაჭრო ბანკის'' სახელწოდებით, მუშაობას ბანკი დაიწყებს გერმანიისა და კავკასიის მთავრობების მიერ წესდების დამტკიცების შემდეგ. ძირითადი თანხა ბანკისა არის 10 მილიონი მანეთი ამ თანხაში 51 პროც. შემოაქვს გერმანიას და 49 „კავკასიის რესპუბლიკების“ მოქალაქეებს. ბანკის დამაარსებელი არიან—ავეტისიანი, მ. ანანოვი, ტ. მრეტელი, მაქს ვემერი. ვეტცელი, იულიუსი, ოსვალდ კრაუზე, ფორერი სიკარგი, ველტერი, ფრიკი და სხვ. პირველათ განყოფილებები გაიხსნება თბილისში, განჯაში, ერევანში და ფოთში შემდეგ სხვა ქალაქებშიო.

◆ კაბელი სტამბოლამდე. თბილისში მოსული ცნობებით ა. ი. ჩხენკელს ბერლინში ხელშეკრულება დაუდვია, რომლის ძალითაც უნდა გაკეთდეს საქართველოსა და გერმანიის შუა წყალ ქვეშა ტელეგრაფის მავთული ფოთიდან კონსტანცამდე და მერე სტამბოლამდე

◆ ბაქოს ქართველობა და ოსმალები ბაქოში შემოსულებს პირველი შეხვდა ქართული წითელი რაზმის ბატალიონი პურ-მარილით და თეთრი ბაირაღით, რომელზედაც ოსმალური ასოებით ეწერა ,,ქართველების რაზმი''.

ოსმალეთის კონსულს, რომელიც ბაქოელების რაზმს მოუძღოდა წინ, სიტყვა უთხრა რაზმის უფროსმა ი. გაგუამ.

◆ მიტროპოლიტ ანტონის დასაფლავება. 24 ენკენისთვეს ქუთაისში თავის ბინიდან გამოასვენეს და საკათედრო ტაძარში დაასაფლავეს მიტროპოლიტი ანტონის ცხედარი. განსვენებას დაესწრენ: სამხ. მინისტრი გიორგაძე, გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი, კატალიკოსის მოსაყდრე ლეონიდე, ეპისკოპოსი ამბროსი და დიდძალი საზოგადოება.

◆ სომხები და მიწის რეფორმა სომხეთის დიპლომატიური მისია შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს, საქართველოში მომქმედი კერძო მესაკუთრეთა მამულების ჩამორთმევის კანონი ვრცელდება თუ არა უცხოელებზე და თუ არა, რა წესით უნდა დაუბრუნდეს ის მამულები, რომლებიც საადგილ-მამულო კომიტეტებმა უკვე ჩამოართვეს სომხებსო.

◆ ღალის საკითხი იმერეთში საადგილმამულო კომიტეტმა უკვე მოახდინა მეორე განკარგულება, რომლის ძალით გლეხებმა უნდა გადიხადონ ნატურით ღალა: პირველი ხარისხის მიწებზე—ერთი მესამედი, მეორე—ერთი მეოთხედი, მესამე—ერთი მეხუთედი და მეოთხე ხარისხისაზე—ერთი მეექვსედი მოსავლისა.

◆ ტყეთა ინსპექტორი. პროფესორი ს. ზ. ქურდიანი დანიშნულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ტყეთა ინსპექტორათ.

◆ საერობო არჩევნები თელავში. თელავში საერობო არჩევნები დასრულდა. მონაწილეობა მიიღო არჩევნებში 1088 კაცმა, აქედან სოციალისტების ბლოკს ხმა მისცა 774 და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას 314 კაცმა.

◆ რკინის გზის საწყობის რევიზია დაიწყო სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულებით.

◆ სოციალ-დემოკრატიული სამართალი სამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი საგუბერნიო ციხეში მივიდა კალენიკ გოგიბერიძის დასაკითხავად, მაგრამ ის ციხეში არ აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ გოგიბერიძე გამოუშვიათ საბრალმდებლო ნაწილის ნება დაურთველად.

◆ მადნეული წყლების [illegible]. მიწათ-მოქმედების სამინისტრომ [illegible] რაჭის, ოზურგეთის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის, დუშეთის, [illegible] კის, ზუგდიდის, შორაპნის, გორის და ბორჩალოს მაზრებში გაგზავნა მიმღები კომისია მინერალურ წყალთა ჩასაბარებლად. თვითეულ კომისიაში შედის თავმჯდომარე და ორი წევრი-გეოლოგი და მიწის მზომელი. საქართველოს ტერიტორიაზე 115 ადგილია, სადაც არის მინერალური წყალი. სამინისტრო შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა აღნიშნულ ადგილებში გეოლოგიურ და სამიწისმზომელო სამუშაოდ თანხა გადაიდოს.

◆ გ. მამრაძის ლექცია. შაბათს, 12 ოქტომბერს, კონსერვატორიის დარბაზში გიორგი მამრაძე წაიკითხავს ლექციას: ,,ქართლის ბედის უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი'' მოხსენების შემდეგ გაიმართება ბაასი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენელნი.

◆ პარტიული ცხოვრება. დღეს, 6 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე დანიშნულია დამოუკ. ნაც. დემ. პარტიის მთავარ კომიტეტის კრება.

ოსმალეთის ელჩი ნ. ჟორდანიასთან.

გუშინ პირველის ნახევარზედ ოსმალეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ქერიმ-ფაშა სადარბაზოდ იყო ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარესთან, მისალმებისა და პატივის ცემის შემდეგ, ქერიმ ფაშამ აღნიშნა რომ ოსმალეთის პრესა და პოლიტიკური წრეები საქართველოსთან მეგობრულ განწყობილების დამყარებას ემხურებიან და იმედი გამოსთქვა, რომ თავის მხრით ქართული პრესა, საქართველოს პოლიტიკური წრეები და საქარ. ეროვნულ საბჭოს ყოვლად ღირსეული თავმჯდომარეც ოსმალეთთან კეთილ მეზობლობისა და მეგობრობის განმტკიცებას ხელს შეუწყობენ. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ქართულის თავაზიანობით მისალმებისა და მადლობის გადახდის შემდეგ დაარწმუნა თვისი ღირსეული მოდარბაზე, რომ ოსმალეთთან კეთილ მეზობლობის დაჭერა საქართველოს არსებობის ძირითად ინტერესებიდან გამომდინარეობს და რომ რასაც საქართველოს დამოუკიდებლობის ხელშეუხლებლობა და მაღალი ინტერესი მოითხოვს იმის ფარგლებში მტკიცე იქნება ძალუმი მეგობრობაც და კეთილი მეზობლობაც. დარბაზობამ ნახევარ საათზე მეტი გასტანა. გამომშვიდობის დროს ორთავე მხრით მხურვალე სურვილი გამოითქვა ამიერიდან ერთმანეთს იცნობდნენ არა მარტო როგორც ოფიციალური პირები, არამედ როგორც მეგობრები საქართველო-ოსმალეთის კეთილ-მეზობლობისა. (,,ს.)''

ფელეტონი

სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის
ევგენი რიხტერის წიგნიდან.

თავი V.

პარლამენტის სხდომა.

დიდის წვალებით მოვახერხეთ მე და ფრანცმა პარლამენტის გალერეიაზე ასვლა. უნდა გადაწყვეტილიყო შენახველ კასებში შეტანილ ფულის საკითხი. ფრანცის სიტყვით, ორ მილიონიან მცხოვრებთაგან ნახევარ მილიონს მაინცა აქვს კასაში შენახული ფული. გასაკვირველი არ არის, რომ მთელი პარლამენტის მიდამოები გატენილი იყო ხალხით, რომლის უმეტესი ნაწილი ღარიბად იყო ჩაცმული, და რომელიც გაფაციცებით ელოდებოდა პარლამენტის გადაწყვეტილების შედეგს. როდესაც ჩვენ პარლამენტში შევედით, ჯარი ხალხს ერეკებოდა ქუჩებიდან.

რადგან ახალი არჩევნები ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი და რადგან ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლების რწმუნებულობა გაბათილებული იყო, ამიტომ კრების დარბაზში ჩვენს ძველ ნაცნობ მებრძოლთ ვხედავდით მხოლოდ.

მინისტრთა თავმჯდომარის მინდობილობით სახელმწიფო სტატს [illegible] დეპარტამენტის უფროსმა გახსნა კრება თავისი მოხსენებით იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს დღევანდელ საკითხს. სახელმწიფოს მარტო საზოგადო კასებიდან გაცემული რვა მილიონი წიგნაკი, 5 მილიარდ მარკაზე მეტისა (გაიგონეთ! გაიგონეთ! მარცხნიდან). ყოველ წლობით გადასახადი პროცენტი 150 მილ. მარკას ემატებოდა.

კასის ფულები მოთავსებული იყო;—გირავნების ფურცლებში 2800 მილ. მარკა, ვექსილებით 1700 მილ. მარკა, საზოგადო დაწესებულებებსა და კორპორაციებში—400 მილ. მარკა. ვექსილები კანონით ყველგან გაბათილებულია (ძალიან კარგი. მარცხნიდან). იპოტეკური ვალი, რაკი ყოველივე უძრავი ქონება სახელმწიფოს ხელში გადავიდა, გადახდილა. ასევეა იმ ფულის საქმეც, რომელიც მოძრავ ქონებათა გირავნებით არის გაცემული, გირაო მუქთად უნდა დაუბრუნდეთ პატრონთ, (მოწონება მარცხნით). ამგვარათ არავითარი სახსარი არ არის კასის მოვალეთ დასაკმაყოფილებლად. სამაგიეროთ მათ მიეცემათ ასიგნოვკები სახელმწიფო საწყობებიდან საქონლის მისაღებად.

ამ მოხსენების შემდეგ სიტყვის თქმის ნება მიეცა მარჯვენა ფრაქციის ორატორს. მილიონობით მუშაკი და კეთილ, სოციალ-დემოკრატები (შეშფოთება მარცხნით) სასოწარკვეთილებაში ჩავარდებიან, როცა დაინახავენ, რომ ელაროდესაც მუშა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ,,თავის ნაშრომის სრულის მოგების'' მხრით, ეკარგებათ შრომის ნაყოფი, რომელიც შემნახველ კასებში ჰქონდათ. რამ გახადა შესაძლებლად ფულის გადანახვა? გაძლიერებულმა მეცადინეობამ, ყაირათობამ, ბევრ სიამოვნებათა უარის ყოფამ, მაგალითად თამბაქოსა და მაგარ სასმელის უხმარებლობამ, რასაც სხვა მუშები არ იკლებდნენ (მღელვარება მარცხნით) ზოგიერთს ეგონა კასში ფულის შენახვით უზრუნველვყოფ შავი დღის გასაჭირს, სიბერეს შევიმსუბუქებო. და გათანასწორება შემნახველისადმი იმისი, ვინც არაფერს არ იკლებდა, მთელ ხალხს აგრძნობინებს უსამართლობას. მოწონება მარჯვნით და ხმაურობა ტრიბუნიდან)

თავმჯდომარე ემუქრება გალერეის დაცლას (ხმები: ჩვენ ხალხი ვართ)!

თავმჯდომარე: ხალხს ნება აქვს უარყოს კანონი, მაგრამ უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს პარლამენტის კამათში (საერთო მოწონება). წესრიგის დამრღვევნი დარბაზიდან გაჰყავთ.

სიტყვა ეძლევა ორატორს მარცხენა ფრაქციისას. ჭეშმარიტ სოციალ-დემოკრატს არასოდეს არ უფიქრია ფულის შენახვაზე (წინააღმდეგობა მარჯვნიდან). ვინც ბურჟუაზიულ მოციქულების ყაირათობას მისდევდა, იმას არ შეუძლია სოციალისტურ სახელმწიფოში ყურადღების იმედი ჰქონდეს. არა ერთი და ორი კასაში შენახული ფული ყოფილა მიზეზი მუშა ხალხის გაყვლეფისა (წინააღმდეგობა მარჯვნივ). ნუ ამბობენ იმას, რომ სოციალ-დემოკრატია დიდ ქურდებს ახრჩობს, ხოლო მილიონობით პატარ ქურდებს თავისუფლად უშვებს. კასებში შენახულ ფულს თავისი წილი პასუხისმგებლობა იმ სისტემისათვის, რომელიც ხელს უწყობს ხალხის ექსპლოატაციას. (მოწონება მარცხნით) მხოლოთ ბურჟუას შეუძლიან წინააღმდეგი იყოს კასებში შენახულ ფულის კონფისკაციისა.

თავმჯდომარე წესიერებისაკენ მოუწოდებს ორატორს, მიტომ რომ მან ბურჟუა უწოდა სოციალ-დემოკრატიულ პარლამენტის წევრს და ამით ღრმად შეურაცხჰყო იგი.

ყველა სმენად იქცა. ადგილიდან იძვრის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე: მე უნდა ვაღიარო, რომ ორივე პარტიული ორატორი რამდენიმეთ მართალია. იმ სიტყვაში, რომელიც ეხება შემნახველ კასათა დაარსების ზნეობრივ მხარეს და აგრეთვე მათს უწესოდ დახარჯვას არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილების დროს ბევრი სიმართლეა. მაგრამ წარსულის მოგონებას არ უნდა გავყვეთ და არ უნდა აუცდეთ დღევანდელ დიდებულ დროის საჭიროებას. (ძალიან კარგი!) ჩვენ, როგორც შეგნებულმა სოციალ-დემოკრატებმა, საკითხი სანტიმენტალურად არ უნდა გადავწყვიტოთ. მივცეთ 5 მილიარდი მცხოვრებთა ერთს ნაწილს, 8 მილიონ კაცს, ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სოციალური თანასწორობა რომ მოვაშენოთ არა თანასწორობაზე (მოწონება). ეს არა თანასწორობა ჩქარა საგრძნობელი გახდება ყველაფერში დაშლის მომავალ მწყობრ ორგანიზაციის წარმოებასა და ხმარებას. რა უფლებითაც დღეს კასაში ფულის შემნახველნი თხოულობენ თავის ფულს, ამავე უფლებით შეუძლიანთ ხვალ მოითხოვონ თავიანთი ფული იმათ, რომელთაც შემთხვევით კასაში კი არ შეინახეს ფული, არამედ ხელსაწყოებსა, საწარმოო თანხასა ან უძრავ ქონებაში ჩაჰყარეს (სრული სიმართლეა!) ამის შემდეგ სადღაა საზღვარი სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს საწინააღმდეგო რეაქციისა? რასაც არ უნდა მოელოდნენ ფულის შემნახველნი თავიანთ ნაშრომისა და ნაამაგდარისაგან, ყველა ოთხჯერ და ასჯერ უფრო მეტს მიიღებს იმ დიდებულ დაწესებულებათაგან, რომლის შექმნაც ჩვენ ვკისრეთ მუშათა საკეთილდღეოდ. თუ თქვენ ახლა გამოგართმევთ იმ მილიონებს და ამით საერთო საჭიროებისათვის დანიშნულ თანხას შეამცირებთ, მე და ჩემი ამხანაგი მინისტრები ვერ შევძლებთ ვკისროთ პასუხისგება შეგნებულ სოციალ-დემოკრატიის შექმნისა (მხურვალე მოწონება).

ჩაწერილი იყო კიდევ ბევრი ორატორი, მაგრამ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თუ კრების წინ მომუშავე კომისიების და დეპუტატების მიერ საბუთების კითხვაში დახარჯულ დროს მივიღებთ მხედველობაში, რვა საათის სამუშაო დღე კიდეც გავიდაო, და ამიტომ კრება მეორე დღისათვის გადაიდოო. (ხმები: კენჭი უყაროთ!). უყარეს კენჭი და მიღებულ იქმნა, კამათი დასრულებულად ჩაითვალოს. კენჭის ყრის დრო პარლამენტი დაუკმაყოფილებლად სტოვებს ფულის პატრონთა დათხოვნას, სხვა მთელ რიგ საკითხებზე გადადის და კრება დახურულად ცხადდება.

გალერეიდან ისმის უკმაყოფილო ხმები, რომელიც ქუჩაზეც ვრცელდება. მცველმა რაზმმა დასტოვა პარლამენტის მიდამო. წესის დარღვევის მსურველთა უმრავლესობა დააპატიმრეს, უმეტესად ქალები. ამბობენ, ზოგ დეპუტატს, რომელნიც წინააღმდეგი იყვნენ ფულის მიცემისა, პარლამენტის მოშორებით ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენაო. ამბობენ იმასაც, რომ დამცველი რაზმი შეუბრალებლად ხმარობს ინგლისურ კასტეტებსაო. ჩვენს სახლში ერთი უბედურება ტრიალებდა. ჩემი რძალი ვერას გზით ვერ დავამშვიდეთ. ჩემი ცოლი ამაოდ ცდილობდა იმის დამშვიდებას ძვირფას მზითევის დაპირებით, რომელსაც ყველა ახლად ჯვარდაწერილი მიიღებდა სახელმწიფოსაგან. „არ მინდა არაფერი,—იმეორებდა იგი,—მე მინდა მხოლოდ ჩემი ნაშრომი. ასეთი კანონი ხომ ძარცვასა და ქურდობაზე უარესიაო“.

ვშიშობ, დღევანდელი შემთხვევა იმგვართაგანი ხომ არ არის, რომ ჩემი რძლის სოციალ-დემოკრატიული რწმენა განამტკიცოს.. ჩემს სიმამრსაც აქვს კასის წიგნაკი. ვერ უბედავ მოხუცს ვუთხრა, რომ ამ წიგნაკს ფასი აღარ აქვს. იგი ძუნწი არ არის, მაგრამ ამ დღეებში ამბობდა, მინდა სარგებელი სარგებელს შევაკეცო, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ მიიღოთ მადლობა იმ მზრუნველობისათვის, რაც თქვენ მე გამიწიეთო. მართლაც საჭიროა ჩემი სოციალ-დემოკრატიულ რწმენის მტკიცე თვისება, რომ დამშვიდებით გადავიტანო ასეთი დანაკლისი.

(შემდეგი იქნება)

მეურნეობის კრიზისი

ნიკო ყავრიშვილის სარძეო ფერმა.

ს. მოხისი (თბილისის მაზრა).

მანგლისიდან სამი ვერსის მანძილზე, სოფელ მოხისის მიდამოებში, იქ სადაც დღეს შენობათა ნანგრევებს საზარლათ დაუღიათ პირი—სულ ბოლო დრომდე ყვაოდა შესანიშნავი სარძეო მეურნეობა დიდი მოღვაწისა და მშრომელის ბატონის ნიკო ყავრიშვილისა.

იქ სადაც ახლა ველურ მწყემსების კატა-ძროხები ფეხით ქელავენ, წლობით გაპოხიერებულ და მოვლილ სათიბებს, ამ რამოდენიმე თვის წინეთ ეს წარმოადგენდა ნამდვილ შვეიცარიის კუნძულს, საძროხე და სარძეო ფერმას, მხოლოთ უფრო დიდის მასშტაბით.

ბატონი ნიკო ყავრიშვილი თბილისში რეალ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა საფრანგეთს და გრინიონის შესანიშნავ სასწავლებელში კურსის დამთავრების უმალ გერმანიისა და შვეიცარიის ფერმების შესწავლა-დათვალიერებას შეუდგა.

26 წლის ვაჟკაცი, გატაცებულის-ნასწავლ-ნანახით, აღფრთოვანებით დაიწყო სამშობლოში მუშაობა და მართლაც თავის უსაზღვრო სიყვარულით საქმისადმი, ცოდნითა და დაუღალავ შრომით 30 წ. განმავლობაში შექმნა ჩვენი ქვეყნისთვის იშვიათი და სამაგალითო მეურნეობა. 826 დესეტინა სათიბ—საძოვრები წლითი წლობით დინამიტით აფეთქებით და განწმენდით—გასუფთავა კლდისა და ბორცვებისაგან.

იმ რაიონში სადაც სახნავსაც კი არ აპატივებენ მან, რამდენიმე ასი დესეტინა სათივე გააპატივა, დაჰყო ნაკვეთებათ და კულტურულ-ბალახეულობა დასთესა.

მან სხვებთან ერთად შეჰქმნა შესანიშნავი ტიპი ქართულ-ევროპულ ჯიშისა.

უკანასკნელ ხანებში მისი ფერმა 250—400 ძროხამდე აწევდა. წელიწადში ყავრიშვილის ფერმიდან ბაზარზე უნდა გასულიყო პარაქი—600 ფუთი, ყველი—1200—1500 ფუთამდე, ხაჭო—400 ფუთ. ნაღები—200 ფ. საკლავი ხბო—120 სული. ამის გარდა ფერმასთან მუდამ ყავდა არა ნაკლებ 31 იორკშირისა და ბერკშირის ღორი.

მისი საშენებელ-ჯიშის ხბორები მიჰყავდათ თვით შორეულ რაჭაში.

გახრწნილ რუსეთიდან ჩვენი ქვეყნის გახრწნილი შვილები რომ დაბრუნდნენ სამშობლოში, პირველ ყოვლისა ამ შესანიშნავ ოაზისაკენ მოიტანეს იერიში. უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაშიაც ადგილი ჰქონდა ჩვენი მტერ-მოყვარე მეზობლების აგენტების პროვოკაციას.

საქონელი ზოგი გაიტაცეს, ზოგი იქვე შეჭამეს, ზოგიც იძულებულ ყვეს პატრონს ჩალის ფასათ გაეყიდა. სარწმუნოთ ვიცით რომ ეს მშვენიერი ტიპის საქონელი მთლათ საყასპოებში დაიღუპა და ასე დიდი შრომითა, მეცადინეობითა, ხარჯითა და ამაგით შემუშავებული კულტურული დარგი ჩვენი მეურნეობისა დაიღუპა, რადგან ასეთივე ბედი ეწვია ყველა მესაქონლე და მერძევე მეურნეს. დასწვეს და დაანგრიეს ყავრიშვილის სახლი, ოთხი უზარმაზარ-საძროხე და სხვა მრავალი სამეურნეო შენობანი. წაიღეს ან დალეწეს ფერმის მანქანა—ხელსაწყოები სეპარატორები, ქვაბები და სხვა.

ასე მოსპეს უპატიოსნესისა და უწყინარის ადამიანის ამდენი წლის ნაამაგევი. იმ ადამიანის რომელსაც იმ ყრუ მთაში სინათლისა და სიკეთის მეტი არა შეუტანია რა. ქართველ ხალხსაც მოაკლეს ამ გაჭირვების დროს ესოდენი საჭირო და ნოყიერი პროდუქტი, რომელსაც იძლეოდა ხსენებული—ფერმა.

ამოდენა პროდუქტს საქართველოს ზოგიერთი მაზრაც არ იძლევა მიუხედავათ ამ მეურნეობის ასეთი საზოგადოებრივ როლისა ჩვენმა მთავრობამ ჩვეულებისამებრ და პირების მეტი სხვა ღონე არა იღონა რა, რომ ეს ქვეყნისათვის საჭირო და გამომკვები ფერმა გადაერჩინა განადგურებას.

კორესპონდენცია.

ხევსურეთიდან.

ხევსურეთსმტერი კარზე ადგია. ლამის არის მთა ველებს და კლდეებსაც თავი მიგვანებებინოს და ჩვენს ჭირ ვარამ ნამუშევარზედაც ხელი აგვაღებინოს და ცოლ შვილიც წყალს მიგვაცემინოს. მართველობის უპატრონობის გამო ხევსურეთში არავითარი კეთილი არ დამყარდა და არც დამყარდება, უკეთუ მთავრობა გამჭვრეტელობით არ შეხედავს ჩვენი საქმის ვითარებას და არ მოგვცემს იმისთანა უფროსებს, რომ შევიდნენ ჩვენს ვითარებაში, იცოდნენ მათ, ჩვენი სამართალი და წესწყობილება; მაგრამ ვხედავთ, რომ ჩვენთვის თავს არავინ იტკიებს ვისაც შეხედავენ და მის პარტიის კაცობას ნახვენ, ყველა გამოსადეგი ჰგონიათ და გამოუშვებენ ზოგს მაზრის კომისრად და ზოგს რაიონის კომისრად. არც ჩვენთვის არიან სასარგებლონი და არც მთავრობისათვის და არც დაბეჩავებულ ხევსურთათვის? ჩვენც გამოვიღვიძეთ, ვხედავთ ვინ რას აკეთებს და ან ვის რა გული შესტკივა სამშობლოსათვის! არავინ ვხედავთ პირ ნათლად. განა ერთხელ და ორჯელ გვქონდა აღძრული თხოვნა უმაღლეს მთავრობას თან, ჩვენ ჭირვარამზე, თუ რა ცეცხლი და ჟლტანელი უბედურება დაატეხა თავს ფშავ-ხევსურეთს, წარსული 1917 წლის ნამყოფმა თიანეთის კომისარმა მენთეშაშვილმა. აღარ ვიმეორებთ იმის ნამოქმედარს. მაგრამ ეხლა მოევლინა ჩვენს თიანეთის მაზრას, მაზედ არა ნაკლები მჭერ-მეტყველი, აღმაშენებელი მაზრისა, კომისარი ლაცუზიძე 1918 წლის 1 იანვრიდამ; რომელიც ქართული ანდაზის არ იყოს „რაც ალხანა ის ჩალხანა"; ბ. ლაცუზიძე მენთეშაშვილის მიმართულებას მიჰყო ხელი და კეთილი თესლის მაგიერ ღვარძლსა სთესავს დღევანდლამდის ჩვენ შორის; მის მაგიერ, რომ შემოიტანოს ჩვენ დაყრუებულ ხალხში სწავლა და ის დარიგება, რომელიც დღეს ჩვენ გვჭირია, რო ვიყვეთ გამოსადეგნი ერისა და სამშობლოისა, პირ-იქით ის გვისისინებს, უნდა რომ ერთი მეორეს, გადაგვკიდოს და მტრობა ჩამოვვიგდოს ერთმანეთ შორის. ძველ მთავრობის დროს არც კი ყოფილა ისეთი უღიერი საქციელი, როგორსაც ახლა ვხედავთ. რად გვინდა ამისთანა მაზრის უფროსი? ან კიდევ რაიონისა- რომელსაც ჩვენი ჭირ ვარამი არ გაეგება და არ შედის ჩვენს გარემოებაში, არ იცის ჩვენი ჭირ ვარამი, რა დღეში ვიმყოფებით? არ გვისრულებს ყოველივე გასაჭირს და არ ასრულებს იმ მოთხოვნილებათ, რაზედაც ჩვენ მათ მივმართავთ. განა იმისთვის ბრძანდებიან თიანეთის საბჭოში? მაგრამ ხევსურეთი მათ ფეხზედ ჰკიდიათ, ნეტავი თავის „პერეპისკებზედ" მოაწერონ ხელი და დაუგზავნონ სადაც ჯერარს ყველას კარგათ მოეხსენებარომ ხევსურეთს თვითონ აქვს თვისი სამართალი (ესე იგი რჯული) ავისაც და კარგისაც; ამიტომ მთელმა ხევსურეთმა, ამა 1918 წელს მარტის პირველ რიცხვებში ავირჩიეთ რაიონის კომისრად თვისივე კაცი, სახელდობრ: ლევან ლიქოქელი, რომელიც არის შეგნებული, არის სიმართლის მოყვარე, გაეგება ყოველივე ჩვენი ავისა და კარგისა, აწარმოებდა ჩვენს საქმეებს კეთილად, გვყავნდა ყოველთვის გვერდით. ბოლოს გაგვყვანდა ჩვენი საქმეები აღსრულებაში და სხვა. წარუდგინეთ მაზრის უფროს ლაცუზიძეს, დასამტკიცებლათ, დანიშნა დროებით ხალხის ძალდატანებით. ხსენებული ლიქოქელი აწარმოებდა ისე, როგორც შეშვენოდა ხევსურეთს; მაგრამ სამი თვის შემდეგ ხევსურეთმა გაიგო, რომ ბატონ ლიცაუბიძე თვისი ნება ყოფლობით ითხოვს ჩვენ დაყენებულ კომისარს და ანიშვნინებს თავის ნებაზედ ჩვენ რაიონის კომისრად, თომა ბალიურს, თბილისის კომისარიატიდან. ჩვენი კარგად ვიცნობთ ამ ხსენებულ ბალიურსაც! რა იცის ჩვენი ხსენებულმა ბალიაურმა, რაში არის გამოცვლილი. რა გაეგება მას ხევსურეთისა, რა აქვს მას შეთვისებული ხევსურეთისა? არაფერი, ჩვენ არ გვინდა მისთანა პირები, რომელთაც არ იციან ჩვენი შინაური წეს-წყობილება რა უნდა გაგვიკეთოს მან? რა „რჯულის" მეთაურად დაგვიჯდებიან? მაგრამ, ჩვენ როგორც ვიცით, ლაცებიძე უნდა ჩვენი ხევსურეთის კომისართ, თიანეთში თავის მაგიდის გვერდზედ მოისოს და „პერეპისკები" ერთი მაგიდიდგან მეორეზე ხელი ხელში აწოდონ ერთმანეთს ვინ ნახა ხევსურეთში კომისარი? კომისრად და მწერლად, თვითონ თავიანთ თავს აცხადებდენ, ხან ერთი, ხან მეორე დაჯ ამაგირს კომისრისას და მწერლისას იღებენ. ხევსურეთი კი მათ ფეხებზამდე ეკიდათ თუ გინდა წყალს წაუღია. რამდენჯერ გვქონდა მთავრობასთან, ჯერ კიდე ბატონ ჩხენკელთან თხოვნა, როთ გამოგზავნა თვისი რწმუნებული პირი და ყოველივე თვისი თვალით ენახა, მაგრამ ამაოთ.

გვისმინოს ეხლა მაინც ახალმა მთავრობამ, შეისმინოს ამოდენი ჩვენი ხვეწნა, ვედრება, განახორციელოს და მოგვცეს წინ სვლა, გვიხსნას ამოდენი უბედურებიდგან; ჩვენც ხალხნი ვართ, იქნებ ვიხსენებოდეთ სადმე, ნუ გვიგზავნის მთავრობა იმისთანა პირებს, რომელთაც არ იციან ჩვენი წეს წყობილება და თანაც აშრობენ ჩვენს ერთ მუჭა სისხლს.

ბეზარიონ ხევსური.

უცხოეთი.

რუსეთის კადეტების ახალი ტაქტიკა.

პეტერბურგში გამოსულა კადეტების პარტიის ორგანო, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილი: „რევოლიუციური ცოდვები პარტიისა და ახალი ტაქტიკა". წერილში შემდეგი დებულებანია:

1. რევოლიუციამ ის შკოლა გვასწავლა, რომ კოალიციის, შეთანხმების იმედები, განსაკუთრებით მემარცხენე პარტიებთან, საბოლოოდ დავივიწყოთ.
2. დამფუძნებელი კრება ზნეობრივადაც და იურიდიულადაც უფრო ადრე მოკვდა, ვიდრე თვალის გახელს მოასწრებდა.
3. უნდა დავუბრუნდეთ წმიდა „კადეტობას", ესე იგი უნდა უარი ვსთქვათ საბოლოოდ ყოველივე „ნაროდნიკულ" ფანტაზიებზე, როგორც მიწის საკითხში, ისე რესპუბლიკის საკითხში.
4. უნდა შევუთანხმდეთ იმ წრეებს, რომელნიც ჩვენზე მარჯვნივ სდგანან, რადგანაც რაც უნდა პოლიტიკური შეცდომები მოსდიოდეთ მემარჯვენეთ, მათში უფრო მეტია ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ხალხი, ვიდრე რომელიმე სოციალისტურ პარტიაში.
5. რაც შეეხება ორ ენტანტას, პარტია უნდა ცდილობდეს ყველა უცხოელთაგან თავი დაალწევინოს სახელმწიფოს.
6. ამ პროგრამის განსახორციელებლად პარტია უნდა დაემყაროს იმ მესაკუთრე გლეხობას, რომელიც ასე გაძლიერდა სწორედ რევოლიუციის დროსა.

◆ **როდის დაეცემა ლენინის მთავრობა.** გერმანიის მთავრობა, როგორც აწერებიან, 1918 წლის დამლევამდის მაინც შეუწყობს ხელს ბოლშევიკების მთავრობას, რადგან სწორედ დეკემბერში უნდა გადიხადონ უკანასკნელი ნაწილი მილიარდ ნახევრიანი კონტრიბუციისა (მესამედი ოქრო).

უკრაინის გეტმანი და იმპერატორ ვილჰელმი

ენკენისთვის 21 უკრაინის გეტმანმა სკოროპადსკიმ კიევში დაბრუნებისას შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ბერლინში ვილჰელმს: „იმ დროს, როდესაც ვტოვებ გერმანიას, მსურს თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას განვუცხადო ჩემი უღრმესი მადლობა კეთილ და გულითად მიღებისა და იმ უმშვენიერეს შთაბეჭდილებისა გამო, რომელიც ამ მოგზაურობის გამო გამოვიტანე. ეს ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ეს ერთხელ კიდევ მარწმუნებს იმაში, რომ ძლიერი გერმანიის დახმარებით ახალგაზრდა უკრაინა გარდაიქცევა მშრომელ და უღონიერეს სახელმწიფოდ ორთავე ხალხის საკეთილოდ". ამაზე იმპერატორმა ვილჰელმმა უპასუხა: „გმადლობთ, თქვენო აღმატებულებავ, გუშინდელ თქვენს ტელეგრამაზე. აღმაფრთოვანებს ის, რომ ასე კმაყოფილი წაბრძანებულა თქვენი აღმატებულება გერმანიაში სტუმრობის შემდეგ და რომ პირადად დარწმუნდით გერმანიის ერთგულებაში. ურთიერთდამი მჭიდრო დამოკიდებულება, ვფიქრობ, მომავალში გაგვიადვილებს საზოგადო შრომას ორივე ქვეყნის საკეთილოდ".

ადერბეიჯანი.

◆ **ადერბეიჯანის მთავრობა.** ადერბეიჯანის მთავრობა შესდგება შემდეგი პირებისაგან, პრემიერ მინისტრი ნაფიცი ვექილი—ფატალი ხანხოისკი, საგარეო საქმეთა—ინჟ. მამედ გასან ბეგი გაჯინსკი, ფინანსთა—იურისტი აბდულ ალიბეგ ამირჯანოვი, გზათა—ინჟ. მამედ ბეგი შეიქ ასლანოვი, ვაჭრობა მრეწველობის და სურსათის—ინჟ. ადა-აშუროვი, შეწყალების—ექიმი ხუდად-ბეგი რაფიბეგოვი, სახალხო განათლების—პედაგოგი ნასიბბეკი იუსუფბეკოვი და მიწათ მოქმედებ ს—ექიმი ხოსროდ-ბეგი სულთანოვი.

◆ **ადერბეიჯანი და სპარსეთი.** ადერბეიჯანს სპარსეთში უნდობლობით ეკიდებიან.

ადერბეიჯანელთა ტენდენცია, რომ თავრიზის პროვინცია თავის გავლენის სფეროში მიაქციონ, იძულებულ ჰყოფს სპარსელ პოლიტიკოსებს ფრთხილად იყვნენ.

მართალია, ამასთან შეძლებას მოკლებული არ არის ისეთი კომბინაცია, რომ სპარსეთს დაუთმონ თურქესტანის და ავგანისტანის ნაწილნი, მაგრამ სპარსეთში ამ კომბინაციას ძალიან ცოტა მომხრე ჰყავს.

◆ **ინგლისური მაიმუნები ბაქოში.** ბაქოში მოსულ ინგლისის ჯარს თან მოუყვანია გაწრთვნილი მაიმუნები, ფორმაში გამწყობილი, რომელნიც სამხედრავის სამსახურს ასრულებდნენ ბრძოლის დროს. ინგლისის ჯარის უკან დახევის დროს მაიმუნებს ყველაზედ ადრე მოუხერხებიათ გემზე დახდომა და გადარჩენილან ტყვეობას.

მთიულეთი და ოსმალეთი.

(მთიულეთის მთავრობის ცნობა)

უკანასკნელ ხანებში როგორც საზოგადოებაში, ისე პრესაში გავრცელდა აზრი, რომ ოსმალეთის იმპერია და მისი წარმომადგენლები ძალმომრეობით ჰმოქმედობენ ჩრდილო კავკასიაში, ბნელი ძალების და სასულიერო წოდების დახმარებით ამგვარ ცნობამ დიდი უნდობლობა დაჰბადა მეზობელ ერთა მესვეურ წრეებში. ასეთი უნდობლობა ფრიად აფერხებდა როგორც დიპლომატიურ მოლაპარაკებას მთიელთა წარმომადგენლებისას, ისე ევროპის ცენტრალ სახელმწიფოებიდგან, რომელთაც მიზნათ აქვთ განამტკიცონ საერთაშორისო მდგომარეობა მთიელთა რესპუბლიკისა. ზემოდ ნაჩვენებ გარემოებათა მიხედვით, კავკასიის მთიელთა რესპუბლიკის მთავრობა საჭიროდ ჰსცნობს უარჰყოს პრესაში მოწვდილი ყალბი ცნობები ოსმალეთის შესახებ. ოსმალეთმა პირველად აღიარა კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობა, ამის გარდა, ოსმალეთმა დეპუტატთა პალატის და გარეშე საქმეთა მინისტრის პირით ტრიბუნიდან დაამტკიცა, რომ ოსმალთა იმპერია უაღრესად დაინტერესებულია კავკასიის მთიელთა დამოუკიდებლობით.

ოსმალეთის კეთილ ყურადღებას მთიელებისადმი მიმართულს ადასტურებს ისიც, რომ მთიელთა მთავრობასთან დიპლომატიურ ან სამხედრო წარმომადგენლად დანიშნულია მთიელთა ისტორიის მცოდნე იუსუფ იზეთფაშა ტომით ჩერქეზი, ბოლოს მთიელთა მთავრობას აქვს სარწმუნო ცნობა, რომ მის უმაღლესობას ოსმალეთის სულთანს ჰსურს ჩრდილო-კავკასია დაინახოს დამოუკიდებელი, ერთეული და ბედნიერი.

რაც შეეხება მთიელთა სწრაფვას და სულის კვეთებას, რომ ვიცით და განცალ ხლებით ებრძოდენ რუსეთის იმპერიას, თავისუფლების-მოყვარე-მთიელი-ხალხი არც ახლა დაიდგამს მონობის უღელ და დაიცავს თვის დამოუკიდებლობას ათას საფრთხიდგან.

ინდოეთი

◆ **ინდოეთის ავტონომია.** ინდოეთის სტატს-სეკრეტარმა წინადადება შეიტან ინგლისის მთავრობაში, ინდოეთს, გარ. და ბელუჯისტანისა და ბირმისა ავტონომია მიეცეთ. ინდოეთში იქნება ინდოელთა პარლამენტი, ასი კაცისაგან შემდგარი. უფლებანი სტატს-სეკრეტარისა გადაეცემა ავტონომიურ დაწესებულებებს. ინგლისის პარლამენტს ექნება უფლებ ინდოეთის ავტონომიის რევიზია მოახდინოს დრო-გამოშვებით.

◆ **ინდოეთის აჯანყება და რაბინდრანატ თაგორი.** „ტაიმსის" ცნობით კალკუტაში სექტემბრის 10-ს მაჰმადიანები აჯანყებულან. საბაბი აჯანყებისა ყოფილ ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთის წერილი ერთ ადგილას პოლიციას ამბოხებულთათვის სროლა აუტეხნია. მოკლულია მე ამბოხეთა მეთაური და დაჭრილია რამოდენიმე. უკვე დააპატიმრეს ცნობილი პოეტი რაბინდრანატ თაგორე, რომელსაც სამართალში აძლევენ. თაგორ შანჰაიში გაგზავნეს, ამბობენ, მას საიდუმლო კავშირი ჰქონია მეამბოხეებთანო.

ჩვენ კორესპონდენტებს

რედაქცია სთხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სოფლის მეურნეობის კრიზისს და აგრარულ რეფორმის განხორციელებას.

რედაქტორი: გრიგოლ ვეშაპელი.
გამოცემა: მთავარ კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციისა.

ახლად მოწყობილი სტამბა
„ხელოვნება"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს და ასრულებს სწრაფად და საუკეთესოდ დაკლებულ ფასებში. ველიამინოვის ქ. № 20.
(ყოფილი სტამბა ოგოროტი).

ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ.
ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა № 41.
ტელეფ. № 14—09.

„მიწის მესაკუთრე—მეურნეთა კავშირის"
წესდების მისაღებად და წევრად ჩასაწერად მიმართეთ კავშირის საბჭოს:
(თბილისში, ბარიატინსკის ქუჩა, სამეურნეო საზოგადოების ბინა).

ქართულ-გერმანული საზოგადოება.
დღეს, 6 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე (ფრეილინის ქ. № 11) ტილი-ფონ მასტერჰაგენი წაიკითხავს მოხსენებას ევროპისა და კავკასიის ეკონომიურ ვითარებაზე. ლექციას თან სდევს ბუნდოვანი სურათები. ლექციის შემდეგ იქნება კამათი.

დაიბეჭდა ცალკე გრიგოლ ვეშაპელის ნაწერი
„ნაციონალ-დემოკრატიული პარტია"-
ფასი 15 შაური
წიგნის საწყობი: კლდის კონტორაში.

დაიბეჭდა დავით ვაჩნაძის ნაწერი
„მუდმივი ჯარი თუ სახალხო მილიცია„-
ფასი 15 შაური
წიგნის საწყობი: „კ ლ დ ი ს" კონტორაში

ქართული ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!

იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი. სულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!

იყავით პოეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!

მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!

იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მომგებიანი!

1—1